ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ალმა მატერ
უნივერსიტეტი

12 მარტი, 2018 | ორშაბათი, №2 (2217)

გამოფენა „ქალები პოლიტიკაში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) გამოცდილება“

საქართველოს პარლამენტში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისა და საქართველოს პარლამენტის მიერ მომზადებული გამოფენა „ქალები პოლიტიკაში — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) გამოცდილება“ გაიმართა, რომელიც ქალთა საერთაშორისო დღეს და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა.

ღონისძიება პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ჩუგოშვილმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ გახსნეს.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს მოღვაწე პოლიტიკოს ქალთა და პოლიტიკურ აქტივისტთა პორტრეტები, საკანონმდებლო ინიციატივები, მათი პოლიტიკური საქმიანობის ამსახველი წერილები. გარდა ამისა, გამოფენისთვის მომზადდა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს გამოყენებული საარჩევნო ბიულეტენი, პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიები და საერთაშორისო თანამშრომლობის ამსახველი ფოტოები.

იუნესკოს გენერალური დირექტორის ოდრი აზულის მილოცვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით

დიდი სიამოვნებით მინდა მოგილოცოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა წარმომადგენელს 100 წლის იუბილე.

ეს უნივერსიტეტი, როგორც პირველი ეროვნული უნივერსიტეტი საქართველოში და ასევე პირველი საგანმანათლებლო დაწესებულება ამიერკავკასიაში, დაარსდა ისტორიკოსისა და ენათმეცნიერის, ივანე ჯავახიშვილის მიერ 1918 წლის 8 თებერვალს. მიუხედავად მისი ერთ საუკუნოვანი ისტორიისა, უნივერსიტეტმა ქვეყნის უფრო ადრეული საუკუნეების საგანმანათლებლო ცენტრების ტრადიციები მიიღო მემკვიდრეობად.

ათწლეულების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რეგიონის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ საქმიანობებში, რაც, გარკვეულწილად, განპირობებულია მისი სტუდენტებისა და მასწავლებლების მულტიკულტურული შემადგენლობით. იგი წარმოადგენს რეგიონალური განათლების ჰაბს და რეგიონში უმაღლესი განათლების განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის შესაძლებლობა აქვთ სტუდენტებს სხვადასხვა ქვეყნიდან — როგორიცაა თურქეთი, სირია, ჩინეთი, ინდოეთი, ბანგლადეში და ერაყი. გაცვლითი პროგრამების თვალსაზრისით, საქართველოში ყველაზე დიდი რაოდენობით სტუდენტი ჩამოდის ევროკავშირის ქვეყნებიდან პოლონეთის, იტალიის, ესპანეთის, პორტუგალიის, გერმანიის, ნიდერლანდების, ჩეხეთის რესპუბლიკისა და სლოვაკეთის ჩათვლით.

ინტერკულტურული დიალოგი ამ უნივერსიტეტის გენშია ჩადებული. კულტურათა ურთიერთდაახლოების თვალსაზრისით, დღეს მსოფლიოს სწორედ ასეთი თავდადება ესაჭიროება მსოფლიო მოქალაქეთა ახალი თაობის აღსაზრდელად.

იუნესკო სიამაყით უერთდება ამ იუბილეს, როგორც მონაწილე იმ ოფიციალური საზეიმო ღონისძიებებისა, რომელიც ჩვენი გენერალური კონფერენციის მიერაა მხარდაჭერილი. გილოცავთ დაბადების დღეს და გისურვებთ წარმატებულ და უმაღლესი განათლებისადმი თავდადების, სულ მცირე, კიდევ 100 წელიწადს, რითაც ხელს შეუწყობთ გენდერული თანასწორობის, კოლექტიური გონისა და ადამიანური ღირსების იდეალების დანერგვას.

ლევან გიგინეიშვილმა წლის პირველი საჯარო ლექცია წაიკითხა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „წლის პირველი საჯარო ლექციის“ ტრადიცია გრძელდება. თსუ-ის საიუბილეო წელს პირველი საჯარო ლექცია პროფესორმა ლევან გიგინეიშვილმა წაიკითხა თემაზე — „იოანე პეტრიწის ჰენადების თეორია და მისი ახალი ანთროპოლოგია“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „წლის პირველი საჯარო ლექცია“ ყოველწლიურად ტარდება. პირველი საჯარო ლექცია პირველად 100 წლის წინ, 1918 წლის 12 თებერვალს (ძველი სტილით 30 იანვარს) უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის წაიკითხა ივანე ჯავახიშვილმა თემაზე - „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფო მწერლობასა და ცხოვრებაში“.

თსუ-ის რექტორმა პროფესორი ლევან გიგინეიშვილი უნივერსიტეტის მედლით დააჯილდოვა.

„ზუსტად 100 წლის წინ ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა პირველი საჯარო ლექცია ჩვენს უნივერსიტეტში. წელს ამ ტრადიციას ლევან გიგინეიშვილი აგრძელებს. იგი ჩვენი ახალი პროფესორია. სასიხარულოა, რომ ასეთი კარგი პროფესურა, მკვლევრები, ახალგაზრდა მეცნიერები უბრუნდებიან ალმა მატერს. ეს ყველაზე დიდი საჩუქარია, რაც შეიძლება 100 წლის უნივერსიტეტს გაუკეთოს მისმა კურსდამთავრებულმა“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

პროფესორმა ლევან გიგინეიშვილმა 1994 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1995 წელს — ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის შუა საუკუნეების დეპარტამენტი მაგისტრის წოდებით; შემდეგ — ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი ბაკალავრის ხარისხით; 2000 წელს კი — ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი შუა საუკუნეების მეცნიერებათა დოქტორის ხარისხით. 2003 წელს მიიღო ჰარვარდის უნივერსიტეტის პედაგოგიკის მეცნიერებათა მაგისტრის წოდება. 2001-2005 წლებში ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მიმდინარე წლიდან ლევან გიგინეიშვილი აკადემიურ მოღვაწეობას კვლავ თსუ-ში აგრძელებს.

მოამზადა **ნატო ოგოლაძემ**

ნომერში

ჩანართი
როგორ აღნიშნა უნივერსიტეტმა 100 წლის იუბილე
საიუბილეო დღეების ქრონიკა

გვ. 6-11

- ახალი დეკანები — გვ. 2
- თსუ-ს ინგლისურენოვანმა პროგრამებმა აკრედიტაცია მოიპოვეს — გვ. 2
- მშობლიური ენის საერთაშორისო დღე — გვ. 3
- მშობლიური ენის დასაცავად გამოცხადებული კონკურსი — გვ. 3
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-6 კონფერენცია — გვ. 4

გიორგი შარვაშიძე:

- თსუ-ში გაიხსნება ევროპის აკადემიის წარმომადგენლობა და იგი მთელ რეგიონს დაფარავს.
- თსუ-ის ბაზაზე იგეგმება აშშ-ის ქიმიკოსთა ასოციაციის დაფუძნება. ეს გახლავთ უმაღლესი დონის სააკრედიტაციო სააგენტო, რომელიც აშშ-ს სტანდარტების აკრედიტაციას მიანიჭებს იმ უნივერსიტეტებს, რომელთაც ქიმიის მიმართულება აქვთ.

— გვ. 11

- იმიტირებული სასამართლო პროცესების შეჯიბრში მორიგი წარმატება — გვ. 5
- ვინ ქმნის დღეს უნივერსიტეტის იმიჯს — გვ. 12
- ელენე ხარაბაძე: მე თსუ-ის პროფესორი ვარ და ასეთად უნდა დავრჩე — გვ. 14
- თსუ-ის მუზეუმი 100 წლის იუბილეს მთელი წელი იზეიმებს — გვ. 16

ახალი დეკანები

ნატო ოზოლაძე

2018 წლის სასწავლო წლიდან თსუ-ის მედიცინისა და იურიდიულ ფაკულტეტებს ახალი დეკანები უხელმძღვანელებენ. მედიცინის ფაკულტეტზე, ახლა უკვე რექტორის მოადგილე, პროფესორი ალექსანდრე ცისკარიძე პროფესორმა დიმიტრი კორძაიამ შეცვალა. იურიდიულ ფაკულტეტზე, პროფესორ ირაკლი ბურდულის შემდეგ, დეკანის თანამდებობაზე პროფესორი თამარ ზარანდია აირჩიეს. იურიდიული ფაკულტეტის ისტორიაში თამარ ზარანდია, თინათინ წერეთლისა და მზია ლეკვეიშვილის შემდეგ, მესამე ქალბატონია, რომელმაც დეკანის თანამდებობა დაიკავა.
გთავაზობთ ახალარჩეული დეკანების ხედვას, თუ როგორ და რა მიმართულებებით გეგმავენ მათი ფაკულტეტების განვითარებას.

თამარ ზარანდია,
იურიდიული ფაკულტეტის დეკანი:

— დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის არჩეული დეკანი. ეს პოზიცია ჩემთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ბევრი გეგმა მაქვს, რომელიც მინდა განვახორციელო.

2018 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 100 წლის იუბილეს აღნიშნავს და ამასთან ერთად უნივერსიტეტს და ფაკულტეტს მოუწევს სწავლების, კვლევის და მართვის ხარისხის დადასტურება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების პირობებში, რაც აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, განსაკუთრებით კი ადმინისტრაციული პერსონალის დიდ ძალისხმევას მოითხოვს. იურიდიულ ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების პირველი ეტაპი უკვე დასრულდა. დამტკიცდა ახალი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. ჩვენთან შარშან განხორციელდა შეფასება, რომელიც ჩატარდა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საპილოტე პროგრამის ფარგლებში. შეფასება იყო ძალიან სასარგებლო როგორც ფაკულტეტის, ისე უნივერსიტეტის განვითარებისთვის. მან კიდევ ერთხელ შეგვახსენა ის პრობლემები, რაც გვაქვს და რომელთა გამოსწორებაზეც ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ.

მნიშვნელოვანია ლექციების წასაკითხად სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან (ძირითადად ევროპისა და ამერიკის წამყვანი იურიდიული სკოლებიდან) პროფესორების მოწვევა ბოლო ხუთი სემესტრის მანძილზე: სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე შეთავაზებული იყო 19 ინგლისურენოვანი და 8 გერმანულენოვანი საგანი, რომელთაც უცხოელი პროფესორები სრული ან ინტენსიური კურსის ფორმატში კითხულობდნენ. შპაიერის და კიოლნის სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში, ასევე ბოლო 5 სემესტრის მანძილზე, უცხოელი პროფესორების ჩართულობით სულ 60-მდე დისციპლინა შევთავაზეთ სტუდენტებს. ამ სემესტრში კი იურიდიული ფაკულტეტი თავის სტუდენტებს სთავაზობს 8 დისციპლინას, რომელსაც უცხოელი პროფესორები გაუძღვებიან, რაც საშუალებას აძლევს ჩვენს სტუდენტს — დაეუფლოს სამართლის თანამედროვე ტენდენციებს, იმსჯელოს ევროპული, ამერიკული სამართლის აქტუალურ საკითხებზე და, იმავდროულად, გაიუმჯობესოს უცხო ენის კომპეტენცია.

ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა დღეს კორპუსის რეაბილიტაციის განხორციელება და სათანადო სასწავლო-კვლევითი გარემოს შექმნაა. დღევანდელი ინფრასტრუქტურა ძალიან მოძველებულია და ვერ პასუხობს 21-ე საუკუნის უნივერსიტეტის მიმართ საზოგადოების მხრიდან არსებულ მოთხოვნებს. ამ საკითხებში ფაკულტეტს აქვს უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციის უპირობო მხარდაჭერის იმედი. წლების მანძილზე არის ამის მოლოდინი და ამ ზაფხულს სარემონტო სამუშაოების დაწყებას ველოდებით, რათა ის დაპირებები, რაც ამ მიმართულებით მიიღო ფაკულტეტმა, რომელთაგანაც უმნიშვნელოვანესია გადახურვის, გათბობისა და სველი წერტილების რეაბილიტაცია, საბოლოოდ განხორციელდეს და ჩვენს სტუდენტებს ღირსეულ პირობებში ჰქონდეთ სწავლის შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანია პროფესორების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ფიქრი, განსაკუთრებით აფილირების იმ წესებიდან გამომდინარე, რაც ავტორიზაციის ახალი სტანდარტით გათვალისწინებულია. ვამაყობთ, რომ ჩვენთან აკადემიურ თანამდებობაზე არიან პროფესორები, რომლებიც ქმნიან ქართულ იურისპრუდენციას. მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა და, ამ შემთხვევაში, ფაკულტეტმა შესთავაზოს საკუთარ პროფესორებს ღირსეული ანაზღაურება და ის სოციალური დაცვის გარანტიები, რაც პროფესორს შესაძლებლობას მისცემს — სრულად დაკავდეს უნივერსიტეტში სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობით. ამას პირდაპირ ებმის განმავითარებელი შეფასების ფარგლებში უცხოელი ექსპერტების მიერ უნივერსიტეტისთვის მიცემული რეკომენდაცია, რომ სასურველია — შეიცვალოს ფაკულტეტისთვის ბიუჯეტის გამოყოფის პრინციპი. უნივერსიტეტი ფაკულტეტს უფრო მეტ თანხას უნდა აძლევდეს თავად ფაკულტეტის მიერ მოპოვებული თანხიდან. ცხადია, ყველა ფაკულტეტს უნდა ჰქონდეს მის მიერ გაწეული მომსახურების შედეგად შემოტანილი ფინანსების საშუალებით საკუთარი აკადემიური გუნდისა და საკუთარი ინფრასტრუქტურის ღირსეული განვითარების შესაძლებლობა. ამდენად, უნივერსიტეტმა უნდა იფიქროს აფილირებული აკადემიური პერსონალისათვის სოციალური დაცვის უფრო მყარი გარანტიების შექმნაზე, რომელიც მიიღწევა მხოლოდ ფაკულტეტებისათვის მეტი ფინანსური ავტონომიის მინიჭებით (რაც ისედაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“).

დიმიტრი კორძაია,
მედიცინის ფაკულტეტის დეკანი:

— წელს მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე ვდგავართ. ვგულისხმობ ავტორიზაციის პროცესს. მედიცინის ფაკულტეტისთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან საქართველო იმ ქვეყნებს შორის არის, რომელმაც მედიცინის საერთაშორისო სტანდარტებით სწავლების ვალდებულება იკისრა. შესაბამისად, სანამ არ დასრულდება ეს პროცესი, ყოველდღიურ ინტენსიურ სამუშაო რეჟიმს ვინარჩუნებთ. ჩვენი ფაკულტეტი წლების მანძილზე საერთაშორისო სტანდარტებით ხელმძღვანელობდა, მაგრამ ახლა მოვიდა დრო, ერთი მხრივ, ამის შემოწმების და, მეორე მხრივ — დადასტურების.

წელს ფაკულტეტის ცხოვრებაზე ასევე აისახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე. ამასთან დაკავშირებით, მედიცინის ფაკულტეტს დაგეგმილი აქვს საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებისა და კონფერენციების ჩატარება; ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის კათედრა ჩაატარებს სიმპოზიუმს ნერვ-კუნთოვანი დაავადებების მართვის თემაზე; დაგეგმილია საერთაშორისო სემინარი საშვილოსნოს ყელის პათოლოგიის სკრინინგის პრობლემებთან დაკავშირებით. ეროვნულ სკრინინგ ცენტრთან და კოლპოსკოპიისა და საშვილოსნოს ყელის პათოლოგიის საქართველოს საზოგადოებასთან ერთად, ფაკულტეტი უმასპინძლებს ევროპაში აღიარებული ექსპერტების გაღრმავებულ სასწავლო კურსს; ასევე, ვგეგმავთ ხუთი სერიისგან შემდგარი ფილმის „სამედიცინო განათლების სათავეებთან“ ჩვენების მოწყობას, რომელიც შექმნა ტელეკომპანია „პულსმა“.

ჩვენი უნივერსიტეტის საერთაშორისო რეიტინგი მზარდია. ამაში თავისი წილი შეაქვს მედიცინის ფაკულტეტსაც, რომელიც დღეს ახორციელებს ყველა საფეხურის პროგრამებს, ამასთანავე, არა მხოლოდ ქართულ, არამედ ინგლისურ ენაზეც. დღეს ფაკულტეტზე 400-მდე უცხოელი სწავლობს, რაც ასევე დამატებით ბერკეტს ქმნის საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებისათვის.

თსუ-ს ინგლისურენოვანმა პროგრამებმა აკრედიტაცია მოიპოვეს

მომავალი სასწავლო წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები არსებულ სასწავლო პროგრამებთან ერთად, ახალ უცხოენოვან პროგრამებზეც ისწავლიან. თსუ-მ 3 ინგლისურენოვანი პროგრამის აკრედიტაცია მიიღო. თსუ-ის სტუდენტები მათემატიკის სადოქტორო, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო და ურბანისტიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე იმ სტანდარტებით ისწავლიან, რომელიც პასუხობს თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევებს და ხელს შეუწყობს მათ კონკურენტუნარიანობას შრომის საერთაშორისო ბაზარზე.

ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავება თსუ-ში საერთაშორისო თანამშრომლობის მხარდაჭერით განხორციელდა. საქართველო-ნორვეგიის თანამშრომლობით ინოვაციური სამაგისტრო პროგრამა საზოგადოებრივი ჯანდაცვა შემუშავდა ნორვეგიის განათლების სფეროში საერთაშორისო კოოპერაციის ცენტრის (SIU) მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველო-ნორვეგიის თანამშრომლობა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში“ ფარგლებში თსუ-ს, ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტის/ტრომსოს უნივერსიტეტის (UiT) (ნორვეგია) და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (NCDC) თანამშრომლობით.

მათემატიკის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია გერმანული სამეცნიერო ფონდის Volkswagen Stiftung მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში გოტინგენის გეორგ-აუგუსტუსის უნივერსიტეტის მათემატიკის ინსტიტუტის პროფესორების რალფ მეიერის და ინგო ვიტის მონაწილეობით, რომლებიც თავადვე არიან პროგრამის ხელმძღვანელებიც. სადოქტორო პროგრამა შექმნილია გოტინგენის გეორგ-ავგუსტის უნივერსიტეტის (Georg-August Unie rsity of Goettingen) მათემატიკის სადოქტორო პროგრამის ანალოგიით.

რაც შეეხება ურბანისტიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, იგი განხორციელდება TEMPUS პროგრამის „Reform of Edua tion Thru International Knowledge Ex hange“ ფარგლებში, რომელშიც ჩართულია თსუ. პროგრამა ითვალისწინებს ქართულ და ევროპულ უნივერსიტეტებს შორის სადოქტორო და სამაგისტრო ორმაგი ხარისხის მიმნიჭებელი (Double Degree) პროგრამების განხორციელებას ურბანისტიკასა და არქიტექტურაში.

მსგავსი პროგრამების განხორციელება ხელს შეუწყობს თსუ-ს კვლევებითა და ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარებას და თანამედროვე ტენდენციების გაზიარებას.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

მშობლიური ენის დასაცავად გამოცხადებული კონკურსი

ნატო ობოლაძე

საუნივერსიტეტო მოძრაობა — „არა ბარბარიზმებს!“ — არეალს აფართოებს და ქართულ ენაში საჭიროების გარეშე შემოსულ უცხოენოვან სიტყვებთან ბრძოლაში სკოლის მოსწავლეებს რთავს. მომავალი თაობა, მოძრაობის დამფუძნებლებისთვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამიზნე აუდიტორიაა, რადგან ინტერნეტის ეპოქაში, თითქმის წაშლილი საზღვრების პირობებში, უკონტროლოდ შემოჭრილი ინგლისურენოვანი ბარბარიზმები უკვე ბუნებრივად მკვიდრდება. პარალელურად, მოძრაობას რუსულენოვან ბარბარიზმებთანაც უწევს ბრძოლა, რომლებსაც ქართველების მეტყველებაში კიდევ უფრო ღრმად აქვს ფესვი გადგმული. აღსანიშნავია, რომ ვებ-გვერდზე www.barbarisms.ge უკვე 1000-ზე მეტი ბარბარიზმია ატვირთული, მათგან უმრავლესობას ერთზე მეტი ქართული შესატყვისი აქვს.

გამართული ქართული ენით მეტყველებისა და წერის კულტურის პოპულარიზაციისთვის, მოძრაობაში („არა ბარბარიზმებს!“) მოსწავლეების ჩასართავად უნივერსიტეტმა კონკურსი — „გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას“ — გამოაცხადა. კონკურსის პირობების თანახმად, მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ ესე თემაზე: „რატომ უნდა გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას“. კომპეტენტური ჟიური გამარჯვებულ სკოლებსა და მოსწავლეებს მიმდინარე წლის აპრილში გამოავლენს. დაჯილდოების ცერემონია 14 აპრილს — ქართული ენის დღეს გაიმართება.

მანამდე კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ყველა რეგიონიდან წარმოდგენილი სკოლე-

ბის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა მოეწყო. კონკურსის მონაწილეებმა ორი საჯარო ლექცია მოისმინეს თემაზე — „საუნივერსიტეტო განათლება საქართველოში“, რომელიც თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ წაიკითხა და ლექცია თემაზე — „თანამედროვე ქართულ ენაში ინგლისური ენის გავლენით მიმდინარე პროცესები და მათი გამომწვევი მიზეზები“, რომლის ავტორიც პროფესორი თინათინ მარგალიტაძე გახლდათ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელობაზე, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობაზე, საქართველოში განათლების ტრადიციაზე ისაუბრა და მსმენელებს თანამედროვე უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების სისტემისა და საუნივერსიტეტო ცხოვრების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

გიორგი შარვაშიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ყველამ ერთად უნდა დავიცვათ საკუთარი ენა!“

„კონკურსი „გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას“ ძალიან მნიშვნელოვანია. პროექტში ბევრი სკოლა ჩაერთო — 400-ზე მეტი მოსწავლე ჩამოვიდა საქართველოს ყველა რეგიონიდან. 14 აპრილს გაიმართება გამარჯვებულების დაჯილდოება. კარგია, რომ მოძრაობა „არა ბარბარიზმებს!“ მასშტაბური გახდა. მასში ჩართულები არიან სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, ახალგაზრდები და ვფიქრობ, ეს პროცესი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. საჭიროა დავიცვათ საკუთარი ენა“, — განაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა.

კონკურსში — „გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას“ მონაწილეობის მისაღებად უკვე 30-ზე მეტი სკოლა დარეგისტრირდა.

მოძრაობა „არა ბარბარიზმებს!“ წელიწადზე მეტია, რაც დაფუძნდა. ამ დროის განმავლობაში ქართული ენის მავნე ზეგავლენისგან დასაცავად არაერთი ღონისძიება გაიმართა.

„ეს არის თანამედროვე ტექნოლოგიების, ინტერნეტის თაობა, ამიტომ მათ უნდა გააცნობიერონ, რომ არ შეიძლება მთელი ლექსიკა მასობრივად ჩავანაცვლოთ ახალი სიტყვებით. მე ვესაუბრე მათ იმაზე, რომ ყველა უცხო სიტყვა, რა თქმა უნდა, არ არის ბარბარიზმი. აუცილებელია გაცნობიერება, როდის არის ენაში უცხო სიტყვის შემოსვლის საჭიროება და რომელია ბარბარიზმი. ჩვენი მიზანია — ავუხსნათ ეს ბავშვებს პოპულარული ენით. ვფიქრობ, შედეგად ისინი დაფიქრდებიან, ისაუბრებენ თავის გარემოში და ეს ყველაფერი გავრცელდება სოციალურ ქსელშიც... ვცდილობთ, რითაც შეგვიძლია, საზოგადოება დავაფიქროთ“, — აღნიშნა პროფესორმა თინათინ მარგალიტაძემ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივას ბარბარიზმებთან ბრძოლასთან დაკავშირებით აქტიური გამოხმაურება მოჰყვა საჯარო სკოლებში. ხარაგაულის III საჯარო სკოლის პედაგოგმა მერი გიორგაძემ გვითხრა, რომ მათ სკოლაში ბარბარიზმებთან ბრძოლა უკვე დაწყებულია და მოსწავლეები ერთმანეთსაც აკონტროლებენ, რომ საუბრისას უცხოენოვანი სიტყვები არ გამოიყენონ.

„ქართული ენა „სტრესის“ ქვეშ მუდმივად იყო: დამპყრობლების ენებიდან შემოსული სიტყვები ჩვენს ენაში ფუძნდებოდა, რუსიციზმმა ხომ წაგვლეკა... ახლა ინგლისურენოვან ტერმინებთან გვიწევს ბრძოლა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული შესატყვისები გვაქვს, სამწუხაროდ, უცხოენოვანი სიტყვები მაინც გამოიყენება. ჩვენ სიამოვნებით ჩავერთვებით ამ კონკურსში. უნივერსიტეტის ინიციატივას ბევრი მოსწავლე სიხარულით შეხვდა და აქვე მინდა გითხრათ, რომ უმრავლესობას უკვე გადაწყვეტილი აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების მიღება“, — განაცხადა ხარაგაულის III საჯარო სკოლის პედაგოგმა მერი გიორგაძემ.

კონკურსის — „გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას“ — მონაწილეებთან შეხვედრა 16 თებერვალს გაიმართა. ერთ-ერთი მთავარი გზავნილი, რომელმაც ღონისძიებაზე გაიჟღერა, ქართული ენის ნებაყოფლობითი დამახინჯების წინააღმდეგ იყო მიმართული. პროფესორმა თინათინ მარგალიტაძემ მოსწავლეებს ასე მიმართა: „დღეს თქვენ ხართ შენობაში, რომელმაც არაერთხელ აიმაღლა ხმა რუსიფიკაციის წინააღმდეგ და დღეს არ უნდა ვიქცეთ ნებაყოფლობითი „გაინგლისურების“ პოლიტიკის მსხვერპლი“.

მშობლიური ენის საერთაშორისო დღე

21 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიეში მშობლიური ენის საერთაშორისო დღე მასშტაბურად აღინიშნა. ღონისძიება სახელმწიფო ენის დეპარტამენტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა, რომელსაც უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი ზაზა აბაშიძე, სახელმწიფო ენის პალატის თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატები, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები დაესწრნენ.

ღონისძიებაზე აღინიშნა, რომ მშობლიური ენა იდენტურობისა და კულტურული მემკვიდრეობითობის დაცვისა და განვითარების უნიკალური ინსტრუმენტია, ამიტომ მშობლიური ენის შენარჩუნების საკითხი დღესდღეობით განსაკუთრებით აქტუალურია როგორც ქართული მოსახლეობისთვის, ასევე საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნოსებისთვისაც.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეს საკითხები დაარსების დღიდან აქტუალური გახლდათ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის ერთობლივ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო არქივებში დაცული ისტორიული მასალა — ენათა მრავალფეროვნების მატიანე, ასევე, თსუ-ის უნივერსიტეტის მუზეუმში დაცული გიორგი ახვლედიანის პირადი არქივის დოკუმენტები, რომელიც ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ 100 წლის წინ, უნივერსიტეტში დაარსებისთანავე, შეიქმნა ევროპული და აღმოსავლური ენების, სანსკრიტის, ასევე ოსური და აფხაზური ენების სასწავლო პროგრამები.

როგორც საზეიმო ღონისძიებაზე თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ აღნიშნა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის გარდა 80-მდე ენა ისწავლება, დიდი ყურადღება ექცევა ეთნიკური უმცირესობების ენებსაც. „თსუ-ში აფხაზური, ოსური ენების შესწავლას ასწლიანი ისტორია აქვს. დღევანდელ გამოფენაზე წარმოდგენილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორის ბრძანება, რომელმაც აფხაზური და ოსური ენის ცენტრები დააფუძნა უნივერსიტეტში. რეალურად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოიაზრებოდა კავკასიის ენების სწავლების ცენტრად, სადაც ბევრი მკვლევარი, მეცნიერი გაიზარდა და შემდგომ თავის ერს გამოადგა“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა.

სახელმწიფო ენის პალატის თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა მშობლიური ენის დაცვის და განვითარების მნიშვნელობაზე ისაუბრა: „დღევანდელი დღე კულტურათაშორის დიალოგის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია. იმ პირობებში, როდესაც საქართველო მიისწრაფის რაც შეიძლება უფრო მჭიდრო კავშირისაკენ ევროპასთან, ბუნებრივია, რომ ასეთი დღეები ჩვენთვის არის მნიშვნელოვანი. მინდა, მივულოცო ჩვენს ყველა თანამოქალაქეს, დიასპორის წარმომადგენლებს, რომლებიც თავისი ერის, ენის, კულტურის შემაკავშირებლები არიან ჩვენს ქვეყანასთან. ქართული ენა არის სახელმწიფო ენა, რომელიც ყოველთვის იყო შემაკავშირებელი სხვადასხვა კულტურისა და ენებისა და, ბუნებრივია, ის საუკუნოვანი ტრადიცია, რომელიც ჩვენს ერს ჰქონდა, გაგრძელდება ყოველთვის“, — განაცხადა გიორგი ალიბეგაშვილმა.

„მსოფლიო კულტურისთვის დღევანდელი დღე ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, ფაქტობრივად, აღინიშნება ერის იდენტიფიკაციის დღე. ენა ამა თუ იმ ერის მთავარი მონაპოვარია, რომელიც ერის კულტურის განმსაზღვრელია. მოხარულები ვართ, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ წარმოდგენილია სხვადასხვა ენაზე შესრულებული ბევრი ხელნაწერი“, - აღნიშნა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ზაზა აბაშიძემ.

21 თებერვალი მშობლიური ენის საერთაშორისო დღედ იუნესკომ 1999 წელს გამოაცხადა, რაც ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებას და განვითარებას ისახავდა მიზნად. იუნესკოს შეფასებით, მსოფლიოს დაახლოებით 6 ათასი ენიდან ნახევარს უახლოეს ხანებში გაქრობის საფრთხე ემუქრება.

საქართველოში ეს მნიშვნელოვან დღე 2005 წლიდან აღინიშნება.

მე-6 ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე

12-15 *თებერვალს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მე-6 ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია გაიმართა.*

კონფერენციაზე სექციებად იმუშავა ფაკულტეტის 8 მიმართულებამ (მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები, ფიზიკა, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, გეოლოგია). დამატებით 2 სექციაში განაწილდა ინტერდისციპლინური მიმართულებებები (მათემატიკა — კომპიუტერული მეცნიერებები და ფიზიკა-ბიოლოგია).

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-6 ყოველწლიურ საფაკულტეტო კონფერენციაზე წარდგენილ იქნა 270-მდე (262) სამეცნიერო მოხსენება. მომხსენებლები იყვნენ როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე, ბაკალავრიატის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები.

თითოეული დეპარტამენტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტების ერთობლივ კონკურსში გამარჯვებული სტუდენტებისთვის დაწესებული იყო დეკანის პირადი პრიზი „საუკეთესო მოხსენებისთვის“ 600 ლარის ოდენობით.

კონფერენციის გამარჯვებულები გამოვლინდნენ პლენარულ სხდომაზე, რომელზეც მათ დეკანმა დაპირებული პრიზები გადასცა. პრიზების მფლობელები გახდნენ სტუდენტები:

ალექსანდრე საათაშვილი (ხელმძღვანელი პროფესორი უშანგი გოგინავა; მათემატიკის დეპარტამენტი), თემით: „შეუღლებული დირიხლეს გულების შესახებ“, რომელშიც უოლშის სისტემების მიმართ ლებეგის მუდმივებისთვის მიღებულია ორმხრივი ზუსტი შეფასება.

ლაშა დალაქიშვილი (ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ოლეგ ხარშილაძე, ფიზიკის დეპარტამენტი), თემით „სტოქასტური რეზონანსი დუფინგის ოსცილატორში“. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ სტოქასტური (შემთხვევითი; განუჭვრეტელი, განუსაზღვრელი ალბათობით მომხდარი) რეზონანსის ეფექტს ადგილი აქვს არაწრფივ სისტემებში, მათ შორის, ბიოლოგიურ ობიექტებში, კავშირგაბმულობაში სუსტი სიგნალების გაძლიერებისას და სეისმურ პროცესებში. იგი გამოვლინდება სისტემაზე გარკვეული სიმძლავრის ხმაურის გავლენისას სუსტი ჰარმონიული სიგნალის ეფექტის გაძლიერებაში.

მარიამ მიქაძე (ხელმძღვანელი პროფესორი დიანა ძიძიგური, ბიოლოგიის დეპარტამენტი), თემით „ინფრაწითელი სპექტრული იმიჯინგი და სიმსივნის დიაგნოსტირების პერსპექტივები“. მოხსენების ანოტაციაში ნათქვამია: „სისხლძარღვთა კეთილთვისებიანი სიმსივნე — ჰემანგიომის შეხვედრის სიხშირე კავკასიელი ბავშვების პოპულაციაში 10-12%-ს შეადგენს. აღწერილია ბავშვთა ჰემანგიომის 3 ფორმა: კაპილარული, კავერნოზული და შერეული. მიუხედავად იმისა, რომ ჰემანგიომის სხვადასხვა ფაზის იდენტიფიცირება სირთულეს არ წარმოადგენს, მისი წარმოშობის შესახებ არ არსებობს ერთიანი აზრი, რაც შესაბამისად ართულებს მის კლასიფიცირებასა და გამოყოფას სისხლძარღვოვანი სიმსივნეების სხვა ფორმებისგან. კვლევის მიზანი იყო ბავშვთა ჰემანგიომების დიაგნოსტირებაში ინფრაწითელი სპექტრული იმიჯინგის გამოყენების უპირატესობების ექსპერიმენტული დასაბუთება“.

მარი-ლუიზა კონჯარია (თანაავტორი ნათია შაშვიაშვილი, ხელმძღვანელი პროფესორი ბეჟან ჭანკვეტაძე, ქიმიის დეპარტამენტი) თემით: „ქირალური სულფოქსიდების დაყოფა ქლორ ჩანაცვლებული ქირალური სელექტორების გამოყენებით მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფიაში და 2-(4-მეთილბენზილსულფინილ) ბენზამიდის სინთეზი“. ნაშრომში განხილულია ქლორის ყველა შესაძლო პოზიცია და შესწავლილია, თუ რა ზეგავლენას ახდენს ქლორის ჩანაცვლების პოზიციის ცვლილება დაყოფის ფაქტორის მნიშვნელობაზე.

ნიკა წითელაშვილი (ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ვაჟა ტრაპაიძე, გეოგრაფიის დეპარტამენტი) თემით: „სვანეთისა და გურიის რეგიონის ჰიდრომეტეოროლოგიური რეჟიმების შედარებითი ანალიზი მდინარეთა წყალშემკრები აუზების მაგალითზე, NASA-ს და ESA-ს მონაცემების გამოყენებით“. ნაშრომში მოცემულია საქართველოს ორი რეგიონის — სვანეთისა და გურიის ჰიდრომეტეოროლოგიური პარამეტრების შედარებითი ანალიზი საშუალო წლიური ნორმის გაანგარიშების შემთხვევაში.

პავლე წოწკოლაური (ხელმძღვანელი ასისტენტ-პროფესორი ლევ გეონჯიანი; ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტი) თემით: „ექსტრემალურ პირობებში ოპერატორის რეაქციის დროის და ოპერაციის შესრულების სიზუსტის გამზომი ტრენაჟორი“; პროექტის ფარგლებში შეიქმნა ტრენაჟორი, რომელიც შედგება ორი ბლოკისგან: პირველი ბლოკი განსაზღვრავს ცდისპირის აკუსტიკურ ან სხვა ოპერაციის შესრულების დროს სტიმულზე რეაქციას. მეორე ბლოკი შედგება 4 ოპტიკურ-ელექტრონული არხისგან. არხები ფოკუსირებულია კონცენტრული სამიზნის სხვადასხვა ზონებზე და ელექტრულ სიგნალებს იძლევიან ლაზერის სხივის ამ ზონებში მოხვედრისას. შედეგი განისაზღვრება ლოგიკური ანალიზატორით. სისტემა მიერთებულია პერსონალურ კომპიუტერთან შედეგების ვიზუალიზაციისა და მათემატიკური დამუშავებისთვის. სისტემა მომზადებულია საექსპლუატაციო გამოცდისთვის. ტრენაჟორს შეუძლია მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს სამხედროებს პროფესიულ მომზადებასა და სროლაში. იგი ასევე დაეხმარება მსროლელ და მოფარიკავე სპორტსმენებს.

გიორგი ხარაზიშვილი (ხელმძღვანელები: პროფესორი ბეჟან თუთბერიძე და დოქტორი სერგო კეკელია, გეოლოგიის დეპარტამენტი) თემით: „კირარი-აბაკურის მადნიანი კვანძის ოქროს გამოვლინებები“. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ საქართველოს ტერიტორია ინარჩუნებს ოქროს საბადოების აღმოჩენის პოტენციურ შესაძლებლობებს და ეს, პირველ რიგში შესამჩნევია, სვანეთის ქედზე, მის დასავლეთ ნაწილში, კერძოდ, კირარ-აბაკურის მადნიანი კვანძის ფარგლებში.

თორნიკე გეგეშიძე, ვამეხ ბაშარული (ხელმძღვანელი პროფესორი მანანა ხაჩიძე, კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტი) თემით: „სამუშაოს მართვის სისტემა უმაღლეს განათლებაში“. წარმოდგენილი ნაშრომი ეხება საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მსურველი უცხოელი სტუდენტებისთვის შექმნილ ახალ სამუშაო სისტემას. აღნიშნული სისტემის შემუშავების აუცილებლობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ვერ ხერხდება ამ კატეგორიის სტუდენტების არსებულ სამუშაო სისტემებში ინტეგრაცია, მაშინ, როცა ყოველწლიურად იზრდება აღნიშნულ სტუდენტთა რაოდენობა და მათი მართვა სამუშაო სისტემის გარეშე, სხვა მეთოდოლოგიით, შეუძლებელი გახდა. სწორედ ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, გადაწყდა, შექმნილიყო ახალი ცალკე მდგომი პლატფორმა, რომლის დანიშნულება კონკრეტულად ამ კატეგორიის სტუდენტების მომსახურება იქნება. ახალი სამუშაო სისტემა საგრძნობლად შეამცირებს თსუ-ის ადამიანური და დროის რესურსის ხარჯვას აღნიშნული კატეგორიის სტუდენტების მართვისა და მომსახურების პროცესში.

პლენარული სხდომა შეაჯამა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა რამაზ ხომერიკმა. მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ სტუდენტების მიერ წარმოდგენილი ნაშრომები შეფასდა ფაკულტეტის თითოეულ დეპარტამენტში და გამოირჩა მათ შორის ყველაზე ღირებული და გამოყენებითი მნიშვნელობის მქონე მოხსენებები. „სტუდენტთა გამოსვლა დღევანდელ პლენარულ სხდომაზე ორმხრივად მნიშვნელოვანია. ისინი სწავლობენ ფართო აუდიტორიასთან კონტაქტს, ხოლო ჩვენ — ვხედავთ, რა დონის სტუდენტები მოდიან, როგორ მუშაობენ, ვინ არიან ლიდერები. თავადაც გავეცანი ნაშრომებს და ძალიან მომეწონა მათი მიდგომა საკითხის კვლევისა და დამუშავებისადმი. ეს გასაოცარი არც იყო, ლიდერი სტუდენტების დონით ჩვენ ძალიან ცოტა უნივერსიტეტი თუ გაგვიწევს კონკურენციას მსოფლიოს მასშტაბით“, — აღნიშნა რამაზ ხომერიკმა.

კონფერენციის შედეგები წამახალისებელი აღმოჩნდა გამარჯვებული სტუდენტებისთვის, ისინი გეგმავენ, მომავალშიც აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო კვლევებსა და კონფერენციებში.

ლაშა დალაქიშვილი, ფიზიკის მიმართულების III კურსის სტუდენტი: „ჩემი მოხსენება შეეხებოდა ხმაურის და ქაოსის როლს სუსტი მოწესრიგებული სიგნალის გაზიარებაში. ქაოსით ჩვენ ვაზიარებდით მოწესრიგებულობის ზომას. დადგენილი იქნა ხმაურისა და სიგნალის ტიპები, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ხმაურის შედეგად ძლიერდებოდა. ეს სისტემა გამოიყენება ხშირად ბიოლოგიაში და ასევე გეოლოგიაში, როცა გარედან შემომავალი ხმაური აძლიერებს ჩვენში მოწესრიგებული სუსტი სიგნალის გავლენას. მივედით იმ დასკვნამდე, რომ ბუნებაში ისეა ყველაფერი მოწყობილი, რომ ხმაურიდან მაქსიმალური ინფორმაცია ამოვიღოთ, ანუ, თუ ჩვენ იმპულსის ყველაზე გავრცელებულ სახეს დავამატებთ ყველაზე გავრცელებულ ხმაურს, მივიღებთ ყველაზე მდგრად სისტემას. ჩვენი დაკვირვებით, მოწესრიგებული სიგნალის შუალედი იზრდება 5-ჯერ უფრო ძლიერად, ვიდრე სხვა შემთხვევებში. ამ ტიპის კონფერენციები ძალიან საინტერესო და ინფორმაციულია. ჩვენ ვეცნობით სხვა მიმართულების სტუდენტების ნაშრომებს და შეგვიძლია მომავალში მათი კვლევის ელემენტების გამოყენება და ერთობლივი კვლევების დაგეგმვა. გარდა ამისა, ვეჩვევით პუბლიკასთან მუშაობას. კითხვებზე არგუმენტირებულ პასუხებს და ა.შ. ცხადია, კიდევ ვაპირებ გამოსვლას კონფერენციაზე“.

პავლე წოწკოლაური, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის კურსის სტუდენტი: „ჩემი მოხსენება შეეხებოდა ცდისპირთა, ანუ ადამიანთა, რეაქციის დროის გაზომვას ექსტრემალურ პირობებში — რა დრო სჭირდება ამ უნარების შეძენას ადამიანისთვის და როგორ უნდა გამოვიკვლიოთ ის ექსპერიმენტულად. წარმოდგენილი გვქონდა სამეცნიერო და საინჟინრო კონცეფცია. სამეცნიერო კუთხით შევეცადეთ, რომ ადეკვატურად აღგვეწერა — სად ვიმყოფებით ახლა სამეცნიერო თვალსაზრისით და სად გვინდა აღმოვჩნდეთ, ხოლო საინჟინრო კონცეფცია დაგვეხმარა ამ ორ მდგომარეობას შორის გადასვლაში — როგორ უნდა შევქმნათ ისეთი ხელსაწყოები, რომ ეს ყველაფერი ექსპერიმენტულად გამოვიკვლიოთ. ჩვენ მიერ დამზადებული ხელსაწყოებით შევქმენით მოწყობილობა, რომელიც პირდაპირ რეჟიმში იღებს მონაცემებს და თქვენ შეგიძლიათ უყუროთ, როგორ რეაგირებს ადამიანი ექსტრემალურ გარემოებაზე. ეს პროექტი შარშან დაიწყო. ჩვენ ვთანამშრომლობთ სხვადასხვა უნივერსიტეტთან და დეპარტამენტთან, მაგალითად, ფსიქოლოგებთან, და მათთვის ვამზადებთ ხელსაწყოებს, რომ ექსპერიმენტები ჩაატარონ. ეს უკვე მეორე მოხსენება იყო ამ თემაზე. ხელსაწყოს დამზადება დასრულების ფაზაშია და ამ სემესტრის ბოლომდე ის უკვე სრულყოფილი იქნება“.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ყოველწლიური კონფერენცია მომავალ წელსაც ამ ზამთრის არდადეგების დროს გაიმართება.

გასწორება

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 21 დეკემბრის (N13) ნომერში, მე-8 გვერდზე დაბეჭდილ წერილში („სურვილების ხე“ და „აკინძული ნატვრები“) გაიპარა დასანანი უზუსტობა. კერძოდ, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის, ნანა შათაშვილის ინტერვიუში სათაური და ბოლო წინადადება უნდა იკითხებოდეს ასე: „სტუდენტებისთვის, განსაკუთრებით მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უნდა გამოიყოს სამუშაო სივრცე, სადაც მათ შეეძლებათ კვლევითი სამუშაოს ჩატარება, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება“.

დაშვებული უზუსტობისთვის რედაქცია ბოდიშს იხდის.

ᲘᲛᲘᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲨᲘ ᲛᲝᲠᲘ�გᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები იმიტირებული სასამართლო პროცესების შეჯიბრში ლიდერობას განაგრძობენ. ამჯერად სტუდენტებმა „გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებულ სასამართლო პროცესში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე“ გაიმარჯვეს. პროექტი საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) თანამშრომლობითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა. იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში ჩატარდა.

აღსანიშნავია, რომ გამარჯვებული გუნდის წევრების უმრავლესობამ — ვახტანგ ნოღაიდელმა, ანა ომანაძემ, მარიამ ხარებაშვილმა, მარიამ წულაიამ და ცოტნე კილანავამ იმიტირებული სასამართლო პროცესის შეჯიბრში მონაწილეობა პირველად მიიღეს. თსუ-ის გუნდს მენტორობას ალექსანდრე იაშვილი უწევდა.

„ორგანიზატორებს აინტერესებდათ შეჯიბრში მონაწილეთა ცოდნის დონე ტრეფიკინგის საკითხებში და, ბუნებრივია, პროცესუალური საკითხებიც: კერძოდ, პროცესის წარმართვა — თუ როგორ გამოიყენებდნენ შეჯიბრში მონაწილეები თავის საპროცესო უფლებებს მოწმეთა დაკითხვის დროს, როგორ წარმოადგენდნენ ისინი შესავალ და დასკვნით სიტყვებს. მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, რომ გუნდის წევრები III კურსის სტუდენტები არიან. მათ მხოლოდ წელს გაიარეს სასწავლო კურსი — სისხლის სამართლის პროცესი და, ფაქტობრივად, ახლა დგამენ სერიოზულ ნაბიჯებს პრაქტიკული საკითხების შესწავლის კუთხით. მათ კარგად წარმოაჩინეს საკუთარი შესაძლებლობები და ჩვენი უნივერსიტეტი, რომლის ღირსეული წევრებიც ნამდვილად არიან“, — განაცხადა ალექსანდრე იაშვილმა.

იმიტირებული სასამართლო პროცესი ორ ეტაპად ჩატარდა: მოიცავდა წერით და ზეპირ ტურებს. წერითი ეტაპის შემდეგ შეირჩა 8 საუკეთესო გუნდი. 17 თებერვალს გაიმართა მეოთხედფინალი, რომელშიც გუნდებმა წარმოადგინეს როგორც დაცვის, ისე ბრალდების პოზიციები. მეოთხედფინალიდან 4 გუნდი შეირჩა. ნახევარფინალი 18 თებერვალს გაიმართა, სადაც გამოვლინდა 2 საუკეთესო გუნდი. 19 თებერვალს კი ფინალში ერთმანეთს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები დაუპირისპირდნენ.

„იუსტიციის სასწავლო ცენტრმა ეს პროექტი ძალიან ორიგინალური სახით შემოგვთავაზა, რადგან, საპროცესო უნარ-ჩვევებთან ერთად, მოწმდებოდა ტრეფიკინგის თემასთან დაკავშირებით თეორიული ცოდნის ფლობაც. ამისათვის, მინდა, მათ კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადავუხადო“, — აღნიშნა იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა მარიამ წულაიამ.

„თემა, რომელიც ამ იმიტირებული სასამართლო პროცესისთვის შეირჩა, ძალიან აქტუალურია. რეალობაში არსებული ფაქტები იმიტირებულ სასამართლო პროცესში იყო გადმოტანილი. მოხარულები ვართ, რომ გავიმარჯვეთ. ჩვენი გუნდის დევიზია — „გააუმჯობესე საკუთარი თავი და წარმატება თავად გიპოვის“, — გვითხრა იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა ანა ომანაძემ.

„იურისტისთვის მთავარია — პროფესიულად გაიზარდოს, რისთვისაც იმიტირებულ სასამართლო პროცესებში მონაწილეობა მნიშვნელოვანია. ვაპირებ, მსგავს პროექტებში აქტიურად ჩავერთო. ამის შემდეგ გადავწყვეტ, სამართლის რომელი მიმართულებით განვაგრძო სწავლა“, — აღნიშნა III კურსის სტუდენტმა მარიამ ხარებაშვილმა.

„გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე“ მხოლოდ პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და თეორიული ცოდნის შემოწმებას არ ისახავდა მიზნად. სტუდენტებს ტრეფიკინგის თემაზე ტრენინგებიც ჩაუტარდათ.

„იუსტიციის სამინისტროს ეგიდით ჩაგვიტარდა ტრენინგ-კურსები, ლექციები წაგვიკითხეს სხვადასხვა სფეროს კვალიფიციურმა წარმომადგენლებმა — პროკურორებმა, იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სამართლის დეპარტამენტის უფროსმა... პროექტში მონაწილეობამდე ტრეფიკინგის შესახებ ცოდნა მივიღეთ სისხლის სამართლის მატერიალური ნაწილის ფარგლებში. ტრენინგების შედეგად კი გავეცანით ეროვნულ და საერთაშორისო პრაქტიკას, საერთაშორისო შეთანხმებებსა და საკანონმდებლო რეგულაციებს“, — განაცხადა თსუ-ის გუნდის წევრმა, III კურსის სტუდენტმა ვახტანგ ნოღაიდელმა.

„ასეთ პროექტებში მონაწილეობა პროფესიული ზრდის საწინდარია. ჩემთვის საინტერესო იყო — რამდენად შევძლებდი თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განხორციელებას. ვფიქრობ, იმის გათვალისწინებით, რომ პირველად მივიღე მონაწილეობა, კარგ შედეგს მივაღწიე“, — გვითხრა თსუ-ის გუნდის წევრმა, III კურსის სტუდენტმა ცოტნე კილანავამ.

„გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ“ წარმოადგენს შეჯიბრს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ საქართველოში ავტორიზებული სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისგან შემდგარი გუნდები. პროექტი ყოველწლიური ხასიათისაა და მიზნად ისახავს ტრეფიკინგის საკითხებზე თბილისისა და რეგიონების სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას, ასევე, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებადახვეწას.

თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და „საუნივერსიტეტო კლინიკას“ შორის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და „აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ნუნუ ოვსიანიკოვამ და „საუნივერსიტეტო კლინიკის“ გენერალურმა დირექტორმა იოსებ ბრეგვაძემ მოაწერეს.

თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის თქმით, სამედიცინო მიმართულების სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან „საუნივერსიტეტო კლინიკაში“ და ჩაერთვებიან ყველა იმ აქტივობაში, რომელიც მომავალი ექიმისთვის არის საჭირო. „ეს არის ძალიან კარგი შანსი მათთვის, რომ მომავალში დასაქმების პერსპექტივაც უფრო მაღალი ჰქონდეთ და სწავლების პერიოდში პრაქტიკული კომპონენტი მაქსიმალურად შემოვიდეს. ეს არის ძალიან დიდი წინგადადგმული ნაბიჯი ორივე მხრიდან. კარგია, უნივერსიტეტს გაუჩნდეს დიდი ბაზა, რომელზე დაყრდნობითაც, ძალიან ბევრი მიმართულებით შეიძლება პროფესიონალების აღზრდა“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა.

„სასიხარულოა, რომ ჩვენი ალმა მატერი და ღუდუშაურის კლინიკა, საკმაოდ ტრადიციული დაწესებულება სამედიცინო სფეროში, დაუკავშირდნენ ერთმანეთს სერიოზული მიზნების განსახორციელებლად. მიჭირს დავასახელო სფერო, სადაც თეორიისა და პრაქტიკის ისეთი გადაჯაჭვულობა არის საჭირო, როგორც სამედიცინო სფეროში. იმედი მაქვს, რომ ჩვენი დღევანდელი მონდომება როგორც უნივერსიტეტის მხრიდან, ისე კლინიკის მხრიდან იქნება შედეგიანი“, — განაცხადა „საუნივერსიტეტო კლინიკის“ დირექტორმა იოსებ ბრეგვაძემ.

ხელშეკრულების საფუძველზე საუნივერსიტეტო კლინიკა უზრუნველყოფს თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების და რეზიდენტების მიერ სასწავლო კურსების გავლას. აღნიშნული კურსის გავლისას საუნივერსიტეტო კლინიკა უზრუნველყოფს მის მმართველობაში არსებული სამედიცინო აღჭურვილობის, ადამიანური და სხვა აუცილებელი რესურსების მონაწილეობას.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

როგორ აღნიშნა უნივერსიტეტმა 100 წლის იუბილე

ფაქტი, მოვლენა, შეფასება

დედაუნივერსიტეტი 100 წლისაა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 100 წლის იუბილე იუნესკოს ეგიდით აღნიშნა. ეს გადაწყვეტილება გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ პარიზში გენერალური კონფერენციის 39-ე სესიაზე მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერით მიიღო. საიუბილეო ღონისძიებების მასშტაბურობაზე მეტყველებს, პირველ რიგში, ის ფაქტი, რომ იუბილესადმი მიძღვნილ ყველა ცერემონიალს 50-მდე ქვეყნის უნივერსიტეტების ხელმძღვანელი პირები და წარმომადგენლები ესწრებოდნენ. უნივერსიტეტის ყველა ღონისძიებას სტუმრობდა ასევე ევროპის აკადემიის პრეზიდენტი ზირდ ქლოთინგი, ევროპული კვლევითი საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი ევა კონდოროსი და იულიხის კვლევითი ცენტრის წარმომადგენელი მკვლევრები. უცხოეთიდან დიდი სტუმრიანობის მნიშვნელობას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ აქამდე არსებული და ახალი კონტაქტები პარტნიორებთან საერთაშორისო ასპარეზზე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პოზიციების გამყარებას შეუწყობს ხელს, რითაც, პირველ რიგში, ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები იხეირებენ მეტი გაცვლითი პროგრამის თუ ურთიერთთანამშრომლობის სხვა ასპექტების მეშვეობით.

100 წლოვანი უნივერსიტეტის იუბილემ, გარდა ამისა, ფართო მასშტაბი იმითაც შეიძინა, რომ საქართველოს ხელისუფლების თითქმის ყველა შტო ჩართული იყო ღონისძიებებში, რომელსაც უცხოელ სტუმრებთან ერთად, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და საზოგადოების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

საიუბილეო დღეების ქრონიკა

■ შეხვედრა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში

7 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მიღება გაიმართა. უნივერსიტეტს იუბილე მიულოცა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა. მისი მთავარი სათქმელი გახლდათ ის, რომ პრეზიდენტი ისურვებდა — მეცნიერებისა და მკვლევრების მეტი ხმა ისმოდეს საქართველოში, რასაც, ჯერჯერობით, მოკლებულნი ვართ.

■ „თსუ არტისა“ და კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრის ერთობლივი კონცერტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის საიუბილეო ღონისძიებები 7 თებერვალს „თსუ არტისა“ და კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრის ერთობლივი კონცერტით დაიწყო. თსუ-ის პირველი კორპუსის ფოიეში შეკრებილი სხვადასხვა თაობის წარმომადგენელი სიმფონიური ჟანრისა და ელექტრონული მუსიკის სინთეზის მუსიკალური ექსპერიმენტის მომსწრე გახდა. კოლაბორაციული პროექტი — სიმფონიური და კლუბური მუსიკის სინთეზი, რომელიც რამდენიმე თვიანი მუშაობის შედეგად შეიქმნა, საინტერესო აღმოჩნდა და მსმენელის დიდი მოწონება დაიმსახურა. ამიტომაც, შემთხვევითი არ იყო, რომ კონცერტს, რომელმაც სრული ანშლაგით ჩაიარა, ყველა თაობის წარმომადგენელი დაესწრო. „თსუ არტისა“ და კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრის ერთობლივი ნამუშევარი დადებითად შეფასდა.

ორკესტრს გერმანიაში მოღვაწე დირიჟორი და მუსიკოსი ოვანეს ამბარცუმიანი ხელმძღვანელობდა. აღსანიშნავია, რომ „თსუ არტისა“ და კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრის ერთობლივი პროექტი „სამხრეთ კავკასიის ხელოვნებისა და კულტურის რეგიონული პროექტის“ ფარგლებში განხორციელდა.

■ თსუ-ის ლოგოს გახსნა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო დღეს, 8 თებერვალს, ოფიციალურად გაიხსნა თსუ-ის ლოგო. თსუ-ის პირველი კორპუსის ფოიეში ლოგო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შერვაშიძემ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან ერთად გახსნა.

„არტეფაგი, რომელსაც დღეს ფარდას ჩამოხსნიან, სამუდამოდ იქცევა ჩვენი დედა უნივერსიტეტის მნიშვნელოვან ემბლემად. ეს არის გერბი, რომელიც დამტკიცებულია თსუ-ის სენატის მიერ. ის გამოკვეთილია იტალიურ მარმარილოში, რომელიც თსუ-ს საჩუქრად გადასცა ცნობილმა კომპანიამ „კამარა“. მისი ერთ-ერთი დამფუძნებელია თსუ-ის კურსდამთავრებული ნანა ხოჭოლავა. მან და მისმა მეუღლემ დავით მაჭავარიანმა ეს არაჩვეულებრივი საჩუქარი იუბილეს აღსანიშნავად უსახსოვრეს უნივერსიტეტს“, — განაცხადა თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

ლოგოს გახსნის ცერემონია

■ საიუბილეო ღონისძიება

უნივერსიტეტის 100 წლისთავთან დაკავშირებით, 8 თებერვალს, თეთრ მარმარილოში ამოკვეთილი გერბის გახსნის ცერემონიალის შემდეგ, უნივერსიტეტში საიუბილეო ღონისძიება გაიმართა.

8 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუკუნოვან იუბილეს მსოფლიოს 50-მდე ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტისა და საერთაშორისო ორგანიზაციის დელეგაციები, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

საზეიმო სხდომაზე უნივერსიტეტს საუკუნოვანი იუბილე მიულოცა და მოწვეული სტუმრები დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, რომელმაც გაიხსენა უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, რომელმაც 1918 წლის 8 თებერვალს (ძვ. სტ. 26 იანვარს) პირველმა დალოცა უნივერსიტეტის დამაარსებლები და სტუდენტები. „უნივერსიტეტი არის მაჩვენებელი ქართული კულტურისა, ქართული წარსულისა, აწმყოსი და მომავლისა. ეს არის მაჩვენებელი ჩვენი ინტელექტისა, ჩვენი სულიერებისა. საქართველომ ამ უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ მძიმე პერიოდი განვლო, მაგრამ ეს მოღვაწეობა არის ის დიდი ღვაწლი, რომელიც უნდა შეესრულებინა საქართველოს ეკლესიას და ვერ შეასრულა, რადგან კომუნისტური რეჟიმი მძიმე ტვირთად დააწვა ქვეყანას. უნივერსიტეტს, რომელსაც აქვს დიდი წარსული, ჰყავს თავდადებული პროფესორ-მასწავლებლები, არანაკლები მომავალი ექნება“, — ბრძანა კათოლიკოს-პატრიარქმა.

მოწვეულ სტუმრებს საზეიმო სიტყვით მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ. მან მოკლედ მიმოიხილა ქართული საგანმანათლებლო კერებისა და უნივერსიტეტის ისტორია, პატივი მიაგო უნივერსიტეტის დამფუძნებლებისა და მისი პირველი სტუდენტების ხსოვნას, მიესალმა ქართული დიასპორის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც საიუბილეოდ ეწვივნენ თბილისს. რექტორმა თავის სიტყვაში განსაკუთრებით გამოკვეთა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნებასა და მშენებლობაში სრულიად საქართველო მონაწილეობდა და ის ეროვნული უნივერსიტეტი იყო თავისი დებულებითა და მრწამსით. მერე, როცა სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა, ავტონომიის პრინციპი საფუძველშივე იყო ჩადებული. „დღეს ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო ფაქტია ის, რომ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თაოსნობით, საქართველოს კონსტიტუციაში შევიდა ორი ფუძემდებლური პრინციპი — აკადემიური თავისუფლება და უნივერსიტეტის ავტონომია. საქართველოს კონსტიტუცია იქნება ერთ-ერთი მოწინავე, საჩვენებელი კონსტიტუცია ევროპის მასშტაბით, სადაც საკონსტიტუციო დონეზე არის დაცული უნივერსიტეტის უფლებები“, — აღნიშნა გიორგი შარვაშიძემ.

მან, ასევე, ისაუბრა იმ დაბრკოლებებზე, რაც უნივერსიტეტს საქართველოს დამოუკიდებლობის ბოლო 25 წლის განმავლობაში შეხვდა და რამაც სტაგნაცია გამოიწვია, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ, მიუხედავად წინააღმდეგობებისა, უნივერსიტეტი გადარჩა და შეინარჩუნა ის ტრადიციები, რაც მას დაარსებიდანვე მოსდევდა — მყარი ეროვნული იდეოლოგია, მეცნიერებისა და კვლევის ევროპული პრინციპები და სწრაფვა მუდმივი განახლებისა და განვითარებისკენ: „მინდა დიდი მადლობა მოვახსენო საქართველოს მთავრობას იმ თანადგომისთვის, რომელსაც უნივერსიტეტი დღეს გრძნობს. ძალიან დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტებს დაუჭირა მხარი მთავრობამ: მეორე კორპუსის სრული რეაბილიტაცია და ინოვაცია; 3000 ადგილიანი საცხოვრებელი ადგილის მშენებლობა; ლისის ტბაზე არსებული ევროპული სტანდარტების 320-ადგილიანი საერთო საცხოვრებლის გადმოცემა, რამდენიმე კვლევითი ინსტიტუტის და კვლევითი ლაბორატორიის

გვ. 7

როგორ აღნიშნა უნივერსიტეტმა 100 წლის იუბილე

მე-6 გვ-დან



აღჭურვა და განახლება. ჩამონათვალი ძალიან გრძელია და შორს წაგვიყვანს. ჩვენ გვყავს 300 000 კურსდამთავრებული. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა თაობის კურსდამთავრებულს, ჩვენს პროფესურას, ჩვენს მკვლევრებს, ადმინისტრაციას და, რასაკვირველია, სტუდენტებს, მათ ძალიან ბევრი გააკეთეს, რათა ეს ზეიმი შემდგარიყო და ჩვენ 100 წლის იუბილე აღგვნიშნა“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

უნივერსიტეტის რექტორმა თავის საზეიმო გამოსვლაში ისაუბრა უნივერსიტეტის განვითარების პერსპექტივაზე, საერთაშორისო ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებაზე. გარდა ამისა, ხაზი გაუსვა, რომ უნივერსიტეტის პროფესურას შესწევს ძალა, აქტიურად ჩაერთონ სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში და თავისი ექსპერტული ხედვები შესთავაზონ ხელისუფლებასა და საზოგადოებას: „ინტელექტი, რომელიც დაგროვებულია უნივერსიტეტის კედლებში, უნდა გავიდეს გარეთ და ჩვენ კვლავ უნდა გავხდეთ საზოგადოების მთავარი მენტორები. გუშინ, 7 თებერვალს, ხელი მოეწერა 5 ევროპულ უნივერსიტეტთან ხელშეკრულებას, რომლის მეშვეობითაც ამ უნივერსიტეტებში გაიხსნება ქართველოლოგიის ცენტრები. ამით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მტკიცედ აცხადებს, რომ ჩვენ ვაგრძელებთ იმ ტრადიციას, რის გარშემოც შეიქმნა ეს უნივერსიტეტი“, — დაასრულა საზეიმო მიმართვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

უნივერსიტეტის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრმიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, რომელმაც უნივერსიტეტის საამაყო წარსულს გაუსვა ხაზი და სიმბოლურად მიიჩნია, რომ მისი დაარსებიდან რამდენიმე თვეში, 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტსაც მოეწერა ხელი. „ამ თარიღებს უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია ჩვენი ისტორიისთვის. 2018 წელი საქართველოსთვის განსაკუთრებულია, წელს საიუბილეო წელი გახლავთ და ჩვენი დიდი წინაპრების უკვდავი სულების წინაშე ვალდებული ვართ — ღირსეულად აღვნიშნოთ ეს ორი უდიდესი ეროვნული მოვლენა. საამაყოა, რომ უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე იუნესკოს ეგიდით იმართება. 100 წლის წინ აქ, ამ კედლებში თავი მოიყარა ყველა პროგრესულმა იდეამ, რომელიც იბადებოდა სამეცნიერო და კულტურულ წრეებში. განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ აქ ყალიბდებოდა ქართულ ენაზე მეცნიერული აზროვნებისა და მეტყველების ჩვევები. უნივერსიტეტში მოღვაწე მეცნიერებმა აქციეს ეს სივრცე არა მარტო განათლების, არამედ კულტურისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნების კერად. თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით არა მხოლოდ ჩვენს უნივერსიტეტს, არამედ მსოფლიო ინტელექტუალურ ელიტას დაამშვენებდნენ ქართველი მეცნიერები: პეტრე მელიქიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, დიმიტრი უზნაძე, კოტე ბაქრაძე, ანდრია რაზმაძე, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი, ნიკო კეცხოველი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე და მრავალი სხვა. დღეს ჩვენი უნივერსიტეტი სწორედ ამ დიდი მეცნიერების ნაშენ ფუნდამენტზე დგას და 100 წლის იუბილეს ხვდება, როგორც ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომელიც, როგორც რექტორმა აღნიშნა, მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების სიაში შედის. უმაღლესი სასწავლებლების გაცვლითი პროექტები, რომლებიც ასე აქტუალურია დღეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ერთი საუკუნის წინ დაიწყო. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰყავს 180-მდე პარტნიორი უნივერსიტეტი 50-მდე ქვეყანაში. მივესალმები ქართველოლოგიის კათედრების გახსნას ჩვენს პარტნიორ უნივერსიტეტებში. კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო, ეს გახლავთ ჩვენი მეცნიერების დამოკიდებულება აფხაზური და ოსური ენის მიმართ. სწორედ უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა დაიწყეს ზრუნვა აფხაზური და ოსური ენის განვითარებასა და მეცნიერულად შესწავლაზე. დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, ასევე სიღრმისეული კვლევები მიმდინარეობს ოსური ენის მიმართულებითაც. სასიხარულოა, რომ 100 წლის იუბილეს უნივერსიტეტი აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის გახსნითაც აღნიშნავს. მჯერა, რომ საქმეს, რომელსაც ჩვენი სახელოვანი მეცნიერები 100 წლის წინ ჩაუდგნენ სათავეში და რასაც ესოდენ დიდი ენთუზიაზმითა და სიყვარულით აკეთებდნენ, ჩვენ ღირსეულად გავაგრძელებთ და ახალ სიცოცხლეს შევძენთ“, — აღნიშნა თავის გამოსვლაში გიორგი კვირიკაშვილმა.

საზეიმო შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე, რომელმაც გაიხსენა, რომ უნივერსიტეტის გახსნას თავის დროზე „გონების სუვერენობის აღდგენა“ უწოდეს. მან, უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელობასთან ერთად, ისაუბრა საგარეო ურთიერთობების თანამედროვე გამოწვევებზე და აღნიშნა, რომ: „ჩვენ ვეძებთ გზებს, თუ როგორ გავუმკლავდეთ მსოფლიოს მასშტაბით და, განსაკუთრებით, ჩვენს რეგიონში წინა საუკუნეების პოლიტიკის გამოძახილს, რომელიც ეფუძნება თანამედროვე საერთაშორისო წესრიგის ისეთი ძირეული პრინციპების ხელყოფას სამხედრო აგრესიით, როგორიცაა ტერიტორიული მთლიანობა, სუვერენიტეტი და ადამიანის უნივერსალური უფლებები. ამასთან ერთად, გლობალიზაცია ახალ შესაძლებლობებს და გამოწვევებს ქმნის. ჩვენ ვეძებთ გზებს, თუ როგორ მოვერგოთ მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას, როგორ შევცვალოთ განათლების სისტემა ისე, რომ შევძლოთ სწრაფად განვითარებადი ხელოვნური ინტელექტის, ვირტუალური რეალობის და ციფრული სამყაროს ადამიანის სამსახურში ჩაყენება. ამისთვის აუცილებელია განათლების სფეროს ფუნდამენტური გადააზრება. საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, მათ შორის, განათლების სფეროში. დარწმუნებული ვარ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ტრადიციულად იქნება პროცესების ავანგარდში და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ახალი სტანდარტების დამკვიდრებაში“, — აღნიშნა მიხეილ ჯანელიძემ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მცირეოდენი წვლილიც კი შეიტანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარებაში და აღნიშნა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყოველთვის მხარს დაუჭერს იმ აკადემიურ, სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ ინიციატივებს, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიბადება და განხორციელდება. „ჩვენ ხელი მოვაწერეთ მემორანდუმებს, რომლის საფუძველზეც ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში დაარსდება და იფუნქციონირებს ქართველოლოგიის კათედრები და ცენტრები. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უნივერსიტეტისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის. ამ მემორანდუმების საფუძველზე უცხოელ სტუდენტებს საშუალება ექნებათ — შეისწავლონ ქართული ენა, საქართველოს ისტორია და კულტურა. განათლების და მეცნიერების სამინისტროს ჩართულობით, უნივერსიტეტში უკვე გაიხსნა და ფუნქციონირებს 320 სტუდენტზე გათვლილი, თანამედროვე სტანდარტების საერთო საცხოვრებელი. ძალიან მალე დაიწყება 3000 სტუდენტზე გათვლილი საერთო საცხოვრებლის მშენებლობა უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების დახმარებით. ასევე მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი სამინისტროს მიერ ორგანიზებული მეცნიერების ფესტივალი წელს უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს მიეძღვნება და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება“, — აღნიშნა მიხეილ ჩხენკელმა, რომელმაც ასევე ისაუბრა იმ პროექტების თაობაზე, რომელიც ახლო მომავალში განხორციელდება. მინისტრის თქმით, პროექტში „ევრიკა“, რომელიც საჯარო სკოლებში მეცნიერებით დაინტერესებას შეუწყობს ხელს, ჩართული იქნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი ინტელექტუალური პოტენციალით — პროფესორებით და მეცნიერებით.

უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო სიტყვები წარმოთქვეს ასევე უცხოელმა სტუმრებმა და უნივერსიტეტების დელეგაციების ხელმძღვანელებმა: აკადემია ევროპეას და COST-ის პრეზიდენტმა ზირდ ქლოთინგმა (Sierd Cloetingh), იულიხის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა სებასტიან შმიდტმა (Sebastian M.Sb midt), კიოლნის უნივერსიტეტის რექტორმა აქსელ ფრეიმუთმა (Ae l Freimuth); ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა ვალტერ როზენტალმა (Walter Rosenthal); ვილნიუსის უნივერსიტეტის რექტორმა არტურას ზუკაუსკასმა (Arturas Zuk usk s), ტარტუს უნივერსიტეტის რექტორმა ტონუ ლეჰტსაარმა (Tonu Lehtsaar), ვარშავის უნივერსიტეტის ყოფილმა რექტორმა კატარჟინა ჩალასინსკა-მაცუკოვამ (Katarzyna Chalasinsk -Mac k w), სოფიის უნივერსიტეტის რექტორმა ანასტას გერჯიკოვმა (Anastas Gerdjik v), პორტოს უნივერსიტეტის რექტორმა სებასტიაო ფეიო დე აზევედომ (Sebastiao fey de Ae e do), ტალინის უნივერსიტეტის რექტორმა ტიიტ ლანდმა (Tiit Land), მასარიკის უნივერსიტეტის რექტორმა მიკულაშ ბეკმა (Mik las Bek), ერევნის უნივერსიტეტის რექტორმა არამ სიმონიანმა (Aram Simonj n), ბელარუსის უნივერსიტეტის რექტორმა ანდრეი კაროლმა (Andrey Karol), გერმანიის შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის რექტორმა ჰოლგერ მიულენკამპმა (Holger Muhlenk mp), ლაკვილას უნივერსიტეტის რექტორმა პაოლა ინევრარდიმ (Paola Ine rardi), საფრანგეთის ქალაქ რენეს გამოყენებით მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორმა მუჰამედ დრისიმ (m,hamed Drissi), კორუნას უნივერსიტეტის რექტორმა ხულიო აბალდე ალონსომ (J lio Abalde Alonso), კვიპროსის უნივერსიტეტის რექტორმა კონსტანტინოს კრისტოფიდესმა (Konstanmtinos h ristofides) და სხვ. სტუმრებმა თავიანთ გამოსვლებში განსაკუთრებით გამოკვეთეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული კავშირების გაღრმავებისა და მომავალი ურთიერთობების პერსპექტივები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს უნივერსიტეტის რექტორს გიორგი შარვაშიძეს.

■ საზეიმო მიღება პარლამენტში

უნივერსიტეტში გამართული საიუბილეო ღონისძიების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტში საზეიმო მიღება გაიმართა. უცხოელ სტუმრებს, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ თამარ ჩუგოშვილმა მიმართა.

* * *

ამავე დღეს სამების საკათედრო ტაძარში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო მსახურება ჩატარდა.

საღამოს კი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში უნივერსიტეტის 100 წლისთავის აღსანიშნავად საიუბილეო კონცერტი გაიმართა. ოპერაში უნივერსიტეტიდან მიწვეულ სტუმრებს ბიძინა ივანიშვილიც შეუერთდა. სწორედ მისი და „ქართუ ჯგუფის“ ხელშეწყობით დაუბრუნდა უნივერსიტეტის პირველ კორპუსს ისტორიული არქიტექტურული იერ-სახე. ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართული გალა-კონცერტის პირდაპირი ტრანსლაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერით მიმდინარეობდა.

გვ. 8

როგორ აღნიშნა უნივერსიტეტმა 100 წლის იუბილე

მე-7 გვ-დან

■ უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი

9 თებერვალს უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი გაიმართა სახელწოდებით — „უმაღლესი განათლების პერსპექტივა: წარსულის გაცოცხლება და ფიქრი მომავალზე“, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი უძღვებოდა.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ მაღალი დონის სამეცნიერო სიმპოზიუმი ნახევრად ცარიელ დარბაზში ჩატარდა, არადა სიმპოზიუმზე დასასწრებად ყველასთვის ღია იყო კარი. ამის აღნიშვნა იმიტომ დაგვჭირდა, რომ იუბილეს ფარგლებში გამართულ სხვა ღონისძიებებზე დასწრება შეზღუდული იყო, რაც, 8 თებერვალს, სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა რადიკალური ფორმით გააპროტესტა კიდეც. „აუდიტორია 115-ის“ წევრები 8 თებერვლის ღონისძიებებზე დასწრებას დაჟინებით ითხოვდნენ. როგორც გავარკვიეთ, მათი რამდენიმე წარმომადგენელი, რომელიც, ამავდროულად, სენატის წევრიცაა, ყველა ღონისძიებაზე დასასწრებად მოწვეული იყო, თუმცა 115-ელებს ყველას სურდა დარბაზებში შეღწევა. ეს მცდელობა ნამდვილად არ ქონია არავის სიმპოზიუმის მსვლელობისას, რათა მოესმინათ მსოფლიო მასშტაბის მეცნიერების გამოსვლები.

სიმპოზიუმი გახსნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა, რომელმაც ასწლოვანი იუბილე მიულოცა უნივერსიტეტს და აღნიშნა, რომ სიმპოზიუმზე, რომელშიც მსოფლიოს უმაღლესი კლასის მეცნიერები მონაწილეობენ, შესაძლებელი იქნება გამოცდილებისა და იდეების გაზიარება უმაღლესი განათლების სფეროში არსებული მიღწევებისა და სამომავლო პერსპექტივის შესახებ. „იმედი გვაქვს, რომ, ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან და მეგობრებთან ნაყოფიერი ურთიერთობის დამყარების გზით, ქართული სამეცნიერო საზოგადოება ახალ გზებს გამონახავს მეცნიერების განვითარებისათვის. მეცნიერება და უმაღლესი განათლება ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყნის და საზოგადოების განვითარება აკადემიური სფეროს წარმატებების გარეშე შეუძლებელია“, — აღნიშნა მან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და, ზოგადად, სამეცნიერო საზოგადოებისთვის საერთაშორისო კავშირების გაფართოების მნიშვნელობაზე ისაუბრა უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ. მან აღნიშნა, რომ საქართველოში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო საქმიანობის ხარისხმა იკლო, რამაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნიდან ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდების გადინება გამოიწვია. ქართველი მეცნიერები დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 250 უნივერსიტეტში მუშაობენ და საკმაოდ დიდი წარმატებით იმკვიდრებენ თავს. ეს, ერთი მხრივ, კარგია, მაგრამ, მეორე მხრივ, იწვევს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის შემცირებას. „2013 წლიდან სიტუაციამ გამოსწორება

სამების საკათედრო ტაძარში

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში

დაიწყო. პირველ რიგში ჩატარდა აუდიტი მეცნიერული მოღვაწეობისა, რომლის მიხედვითაც უნდა გარკვეულიყო — რამდენად კონკურენტუნარიანია ქართული სამეცნიერო საზოგადოება აღმოსავლურ ქვეყნებთან მიმართებაში, როგორ ვითარდება მათემატიკა, ფიზიკა თუ სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. მიღებული შედეგი ყველაზე კარგი არგუმენტი იყო ჩვენთვის, რომ წარვმდგარიყავით პოლიტიკოსების წინაშე და დაგვემტკიცებინა, რომ განვითარების პოტენციალი საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს. შესაბამისად, 2015 წლიდან, 300%-ით, ანუ 3-ჯერ გაიზარდა სამეცნიერო მოღვაწეობის დაფინანსება. შეიძლება ესეც არაფერია დღევანდელი გადასახედიდან, მაგრამ სიტუაცია, ნებისმიერ შემთხვევაში, შეუდარებლად გამოსწორდა. ახლა ჩვენ ვიბრძვით, რაც შეიძლება მაღალ დონეს მივაღწიოთ ჩვენს უნივერსიტეტებში და ვფიქრობთ, როგორ გავაფართოოთ თანამშრომლობა პარტნიორ უნივერსიტეტებთან თუ კვლევით დაწესებულებებთან“, — აღნიშნა გიორგი შარვაშიძემ. მანვე თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა ევროპულ უნივერსიტეტებთან ურთიერთობის შედეგად გახსნილი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიებისა და ერთობლივი სასწავლო პროგრამების მნიშვნელობას და განაცხადა, რომ უნივერსიტეტი უნდა გახდეს მეცნიერებით დაინტერესებული ადამიანების საკრებულო: „ის ტენდენცია, რაც გამოიკვეთა საქართველოში, დამღუპველი იყო — საქართველოს მოსახლეობის მასობრივმა სწრაფვამ საუნივერსიტეტო განათლებისაკენ, საბოლოო ჯამში, განათლების ხარისხი დააკნინა. ახლა ვცდილობთ, რომ ავამაღლოთ სწავლისა და სწავლების ხარისხი და უნივერსიტეტში მოდიოდნენ არა ტენდენციის გამო, არამედ ცოდნის მისაღებად. ამისათვის გვაქვს ინტელექტი, გვაქვს ტვინი, გვაქვს სურვილი პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობისა და შემდგომი განვითარების“, — განაცხადა უნივერსიტეტის რექტორმა.

სიმპოზიუმზე უნივერსიტეტის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენება წარადგინა აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ; საქართველოზე, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილზე, ისაუბრა და სტუმრებს ქვეყნის საგანმანათლებლო და სამეცნიერო განვითარების ისტორია გააცნო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა გიორგი კვესიტაძემ.

სიმპოზიუმის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო უცხოელ მეცნიერთა მოხსენებები, რომლებშიც წარმოდგენილი იყო უმაღლესი განათლების განვითარებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთობის პერსპექტივა.

აკადემია ევროპეას და COST-ის პრეზიდენტმა ზირდ ქლოთინგმა (Sierd Cloetingh) მოხსენებაში „მაღალხარისხიანი კვლევის მნიშვნელობა და ხელშეწყობა — აკადემია ევროპეას და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში ევროპული თანამშრომლობის ასოციაციის (COST) გადასახედიდან“ — საზოგადოებას გააცნო ევროპის აკადემიური გაერთიანება, რომელიც ტექნოლოგიურ და სამეცნიერო დარგებში თანამშრომლობისათვისაა მოწოდებული. დაარსების ისტორიის გაცნობის შემდეგ (ევროპის აკადემია 1988 წელს დაარსდა კემბრიჯში. დღეს მას 4000 წევრი ჰყავს როგორც ევროპაში, ასევე მის გარეთ), სტუმარმა სამეცნიერო საზოგადოებას წარუდგინა ევროპის აკადემიის სტრატეგია და პრიორიტეტები. „ჩვენ წარმოვადგენთ თითქმის ყველა დისციპლინას: სოციალურ, ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებებს. ეს აკადემია გასცდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ფარგლებს და გახდა ხიდი ერებსა და სახელმწიფოებს შორის. ევროპის აკადემია შედგება ახალგაზრდა, მაგრამ ცნობილი მეცნიერებისაგან, რომელთა მხრებზეც დევს, რეალურად, ევროპული მეცნიერების განვითარება“, — აღნიშნა მან.

ზირდ ქლოთინგმა მოხსენებაში ახსნა მექანიზმი, თუ როგორ მუშაობს ევროპული აკადემია, როგორ უწყობს ხელს მეცნიერების განვითარებას სხვადასხვა ქვეყანაში. ასოციაცია COST-ი მკვლევრებს ხელს უწყობს საერთაშორისო კონტაქტების დამყარებაში, აფინანსებს მეცნიერების მენეჯმენტსა და სამუშაო შეხვედრებს, სამეცნიერო სემინარებსა და ვორქშოფებს, ტრენინგებსა და კვლევით კონფერენციებს, ასევე ეხმარება მეცნიერებს „ჰორიზონტი 2020“ პროგრამით გამოცხადებული კონკურსებისთვის ძლიერი კონსორციუმის შექმნაში. „ჩვენი ამოცანაა, რომ უმაღლესი დონის სამეცნიერო კვლევებს შევუწყოთ ხელი მთელი ევროპის ტერიტორიაზე და ყველამ მიაღწიოს მაღალ მაჩვენებელს. ჩვენ რამდენიმე სამეცნიერო მისია გაგვაჩნია: ვაფინანსებთ ახალგაზრდა მკვლევრებს და ვამტკიცებთ COST-ის სტრატეგიულ გეგმებს. COST-ი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი პორტალი ევროპული მეცნიერებების დაფინანსების სქემისა. ჩვენი მიზანია მაღალი დონის შედეგების მიღწევა და ახალგაზრდა მეცნიერებისთვის საშუალების მიცემა, რომ მათ განავითარონ თავიანთი კარიერული მოღვაწეობა. მინდა ხაზი გავუსვა — არ არის აუცილებელი, ქვეყანა ევროკავშირის წევრი იყოს, რომ COST-ის პროგრამაში მიიღოს მონაწილეობა. ამ პროგრამის არეალი გაცილებით ფართოა. ჩვენ გვაქვს ხელმისაწვდომი ფონდები, რათა დაფინანსდეს უახლოესი ქვეყნების პროგრამები. საქართველო დღეს ევროკავშირის მეზობელ ქვეყნად განიხილება და ამიტომ აქაც შეუძლიათ მეცნიერებსა და მკვლევრებს — შემოუერთდნენ ამ პროგრამას, კარი ფართოდაა ღიაა. ჩვენ გვესმის, რომ მეცნიერების დონის ამაღლება ყველა ქვეყნისათვის არის თანაბარი და საშური მიზანი“, — განაცხადა ზირდ ქლოთინგმა.

ევროპული სამეცნიერო ბაზების გაძლიერების თემაზე ისაუბრა ევროპული კვლევითი საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა, პროფესორმა ევა კონდოროსიმ (Eva Kondorosi), რომელმაც ყურადღება გაამახვილა გაფართოებულ პროგრამებზე („ჰორიზონტი 2020, IRC), განსაკუთრებულად კი ისაუბრა ევროპული კვლევების საბჭოს (IRC) სამეცნიერო-კვლევით გრანტებზე, რომლის მიღების შესაძლებლობაც საქართველოს უკვე გასული წლიდან აქვს: „ჩვენ გვაქვს სხვადასხვა ტიპის გრანტები როგორც გამოცდილი მკვლევრებისთვის, ასევე დამწყები მეცნიერებისათვის. ეს გრანტები ასაკობრივად არავის ზღუდავს, თუმცა გააჩნია აუცილებელი პირობები — მის ფარგლებში შერჩეულ უნდა იქნას ის სამეცნიერო ცენტრი, რომელიც ამ კონკრეტულ მეცნიერს/მკვლევარს გრანტის განსახორციელებლად მიიღებს, ხოლო საგრანტო დაწესებულებას, რომელიც შერჩეულია კურატორად, უნდა ჰქონდეს შესაბამისი ბაზა და უნდა პასუხობდეს ევრომეცნიერების პრინციპებს. 2018 წლიდან იწყება ე.წ. სინერგიული გრანტები, სადაც შეიძლება განაცხადები გაკეთდეს სხვადასხვა ქვეყნიდან. აქ აქცენტირებულია ერთობლივი პროექტები ისეთ თემებზე, რომელზედაც ერთი კონკრეტული ადამიანი ვერ იმუშავებს და საჭიროა რამდენიმე მეცნიერის ძალისხმევის გაერთიანება. ამას ვეძახით სინერგიულ გრანტებს. გრანტის მიმღებს შეუძლია თვისი თვალსაზრისით წარმართოს სამეცნიერო მუშაობა 5 წლის მანძილზე. მათ მიეცემათ საუკეთესო პირობები, რათა თავიანთი მისია აღასრულონ და, თუ საჭირო გახდება, გააჩნია თემის აქტუალობას, შეიძლება დამატებითი დაფინანსებაც მიიღონ“, — განაცხადა მან.

ევა კონდოროსიმ, ასევე, ისაუბრა იმ დახმარებაზე, რასაც ევროპული კვლევების საბჭო უწევს ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს. „პირადად მე ვფიქრობ, რომ IRC-ის გრანტს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებსაც ჯერ კიდევ წინ აქვთ სამეცნიერო მიღწევების რეალიზაციის შესაძლებლობა. ჩვენი საქმიანობა დავიწყეთ გარკვეული კვლევით და მოვახდინეთ იმ ქვეყნების იდენტიფიკაცია, სადაც სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე სახელმწიფო ძალიან ცოტას ხარჯავს. ამ ტიპის ქვეყნებში ხშირად ირკვევა, რომ ეროვნული საკვლევი გეგმები და ამოცანები საკმაოდ დაცილებულია ევროპული სტანდარტებისგან. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ხელს ვუწყობთ ქვეყნებიდან მეცნიერე-

გვ. 9

როგორ აღნიშნა უნივერსიტეტმა 100 წლის იუბილე

მე-8 გვ-დან

ბის მობილობას, რათა ისინი გაცილებით უფრო გათვითცნობიერებულები გახდნენ მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში. აქ ლაპარაკია ხელფასზეც, რომელიც მათ უნდა მიიღონ სრულყოფილი სამეცნიერო საქმიანობისათვის. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირებული ურთიერთობის ფონზე, რასაკვირველია, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კონკურენტუნარიან ხელფასებს მეცნიერებისთვის, რომლის უზრუნველყოფაც, დიდწილად, ქვეყანამ უნდა მოახდინოს", — განაცხადა მან.

იულიხის კვლევითი ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა ჰანს შტროერმა (Hans Stroeher) მოხსენებაში — „ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდის სმარტ ლაბორატორიები — გზა მეცნიერებისა და ინჟინერიის გასაყარზე მუშაობისთვის" — სიმპოზიუმის მონაწილეებს სმარტ-ლაბორატორიების შესახებ გაუზიარა გამოცდილება და შეახსენა, რომ მსგავსი ლაბორატორია იულიხის სამეცნიერო ცენტრთან თანამშრომლობის შედეგად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც გაიხსნა. „მინდა, ხაზი გავუსვა მიმდინარე ქართულ-გერმანულ ურთიერთობას, რომელიც შეიცავს როგორც დიპლომატიურ, ეკონომიკურ, ასევე სამეცნიერო კავშირებს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრთან. თავდაპირველად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მხოლოდ იულიხის ცენტრთან ჰქონდა კავშირი, მაგრამ შემდეგ ეს არეალი საგრძნობლად გაიზარდა. მთელი ეს თანამშრომლობა 3 ნიშანსვეტს ეყრდნობა. ეს არის: კვლევა, საგანმანათლებლო ტრენინგი და ცოდნა. ამ ურთიერთობებს მოაქვს მეცნიერებისა და სტუდენტების ურთიერთდაკავშირება სხვადასხვა კვლევით პროექტში და ევროპული უნივერსიტეტების განათლების გავრცელება საქართველოში. ეს არის ჩვენი საქმიანობის ძირითადი საფუძველი. ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს მივაწოდოთ სამეცნიერო კვლევისთვის საჭირო ხელსაწყოები/დანადგარები, რომელთა გარეშეც დღეს კვლევის წარმართვა შეუძლებელია. ასევე შესაძლებელია გაიმართოს ლექციების კურსი, განსაკუთრებით ზაფხულის სკოლის ფარგლებში. შარშან სხვადასხვა ქართული უნივერსიტეტის 20 სტუდენტი ჩამოვიდა იულიხში, რათა ჩვენს სამეცნიერო ცენტრში პრაქტიკა გაევლოთ. უნდა განვავითაროთ სმარტ-ლაბორატორიების პრინციპი. ეს იქნება ახალგაზრდა ნიჭიერი სტუდენტებისგან დაკომპლექტებული ლაბორატორიები, რომელსაც უნდა უხელმძღვანელონ გამოცდილმა პროფესორ-მასწავლებლებმა, განსაკუთრებით იმათ, ვინც განათლება ევროპაში მიიღეს და საქართველოში დაბრუნდნენ", — აღნიშნა ჰანს შტროერმა. მან ასევე ისაუბრა ცენტრის დახმარებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილ ლაბორატორიებზე და მათი განვითარების პოტენციალზე, კვლევებზე, რომელთაც რეალური შედეგების მოტანა შეუძლიათ თანამედროვე ფიზიკისა და კოსმოლოგიის მიმართულებით ნოუ-ჰაუს შექმნაში და ასევე ატმოსფერული დაბინძურების შემცირებაში. ჰანს შტროერმა ხაზი გაუსვა ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი პროექტების დაფინანსების გაზრდის აუცილებლობას და იმ კვლევებს, რომლებიც თსუ-ში იულიხის ცენტრთან ერთად დაიგეგმა.

განსაკუთრებული ყურადღება ხვდა წილად ქართველი მეცნიერის ლევან გიგინეიშვილის მოხსენებას — „ქართული სამეცნიერო ტრადიციები: ისტორიული პერსპექტივა" — რომელშიც მან მიმოიხილა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო სკოლები და განმანათლებლების მოღვაწეობა ანტიკური პერიოდიდან გელათის აკადემიის პერიოდამდე. მან მოკლედ შეახსენა საზოგადოებას ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის და სხვათა მოღვაწეობა. „ვფიქრობ, ამ უნივერსიტეტის დიდებული დამფუძნებლები 100 წლის წინ, გიგანტები იყვნენ და ჩვენ ამ გიგანტების მხრებზე ვდგავართ, როგორც ის გიგანტები იდგნენ კიდევ სხვა ჩემ მიერ ნახსენები გიგანტების მხრებზე", — აღნიშნა ლევან გიგინეიშვილმა.

სიმპოზიუმზე მოხსენებები წარადგინეს ასევე ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა ვოლტერ როზენტალმა (Walter Rosenthal) — „უმაღლესი განათლების მომავლის ფორმირება — ტრადიციიდან ინოვაციამდე"; კიოლნის უნივერსიტეტის რექტორმა აქსელ ფრეიმუთმა (Ae l Freimuth) — „ქართულ-გერმანული სამეცნიერო ურთიერთობების განვითარება; ვილნიუსის უნივერსიტეტის რექტორმა არტურას ზუკაუსკასმა (Arturas Zuk usk s) — „გრძელი გზის დასაწყისი: ხარისხიანი უმაღლესი განათლების პირობები და პერსპექტივა"; კორუნას უნივერსიტეტის რექტორმა ხულიო აბალდე ალონსომ (Ú lio Abalde Alonso) — „თანამედროვე უნივერსიტეტების ინტერდისციპლინური და კვლევითი გეგმები"; იულიხის კვლევითი ცენტრის მკვლევარმა დოქტ. ზარა ბალდასარიანმა — „გზა თსუ-ის სტუდენტობიდან იულიხის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის მკვლევრობამდე"; თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ესმა გუმბერიძემ — „სტუდენტური პერსპექტივა: წარსულიდან მომავლისკენ".

განსაკუთრებული ყურადღება ხვდა პორტოს უნივერსიტეტის რექტორის სებასტიაო ფეიო დე აზევედოს (Sebastiao feo de Ae e do) მოხსენებას: „ბოლონიის პროცესი და მისი მნიშვნელობა უმაღლესი განათლების მომავლისთვის, რომელშიც მან მოკლედ მიმოიხილა ბოლონიის პროცესის განვლილი პერიოდი და გააანალიზა, რატომაა მნიშვნელოვანი ეს პროცესი ევროპული განათლებისთვის: „პირველი: ბოლონია ეს გახლავთ ევროპელი პოლიტიკოსების მიერ დაფიქსირებული პერსპექტივა. იგი ემყარება იმ ტექნოლოგიურ და სატრანსპორტო მიღწევებს, რომელიც ბოლონიის პროცესის შექმნის პერიოდისთვის იყო ევროპაში და რომელიც აუცილებელი გახლდათ ევროპისათვის. მეორე: ფიქრობდნენ, რომ შეიქმნებოდა კრიტიკული მასა და ევროპაში მოხდებოდა კულტურების ინტეგრირება, რაც დღეისთვის ისევ ფუნდამენტალურად არის მიჩნეული იმისთვის, რომ ცივილიზაციების დიალოგი რეალისტური გავხადოთ. პირველად ბოლონიის პროცესი ვრცელდებოდა ევროპის მასშტაბით, მაგრამ დღეისათვის, საბედნიეროდ, ეს არეალი გაიზარდა და მრავალი სხვა ქვეყანაც მოიცვა", — აღნიშნა მან და გაიხსენა, რომ ამ პროცესის ქვაკუთხედი იყო ერასმუსი, როგორც ერთ-ერთი პირველი პროექტი ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის: „2010 წელს ბუდაპეშტში და ვენაში შესანიშნავი შეხვედრა გვქონდა და ამან დახურა პირველი ფაზა ევროპული არეალის შექმნისა. ამის შემდეგ ჩვენ აქცენტი გადავიტანეთ ცხოვრებისეული ცოდნის შეძენაზე, რათა ადამიანებმა შემდგომში იპოვონ ადგილი საზოგადოებებში. ეს ყველაფერი დაკავშირებულია პროგრამასთან, რომელსაც „ჰორიზონტი 2020"-ს ვეძახით. ჩვენ ვიყავით კონცენტრირებული მხოლოდ რამდენიმე გეოგრაფიულ არეალზე და რამდენიმე ინსტრუმენტის გამოყენებაზე. რა თქმა უნდა, ამან იპოვა შემდგომი განვითარება და 2020 წლისთვის ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას ფართო ინტეგრაციისთვის", — აღნიშნა პროფესორმა აზევედომ.

მოხსენებაში ასევე გაანალიზდა საგანმანათლებლო სისტემებში ცვლილებების შეტანის სხვადასხვა ეტაპი და ითქვა, რომ ამ პროცესმა უნდა დაამკვიდროს ახალი მეთოდები დისტანციური, კოპერაციული სწავლებისა, რაც თანამედროვე ცხოვრებამ მოიტანა და რომელიც განსხვავდება საუნივერსიტეტო ფაკულტეტების მუშაობის ძველი სტილისაგან. პროფესორ აზევედოს თქმით, ამაზე უფრო კონკრეტულად შეიძლება საუბარი პარიზის შეხვედრის შემდეგ, როდესაც სამომავლო გეგმები დაისახება. „წინასწარ შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის სიახლეების დანერგვა, გაუმჯობესება და კიდევ ერთხელ გაუმჯობესება. ჩვენ ნდობა უნდა აღვადგინოთ, ვიზრუნოთ ხარისხის ამაღლებაზე და უნდა ვიფიქროთ მეცნიერებასა და განათლებაზე დაბრკოლებებისა და კედლების გარეშე. აუცილებელია, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს გავცდეთ და მოვიცვათ გაცილებით მეტი რაოდენობა ქვეყნებისა. ჩვენ ვცნობთ და ვაღიარებთ განათლების მოკლე ციკლსაც, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია, მაგრამ უნდა შევქმნათ უწყვეტი განათლების მიღების ჩარჩო. ვფიქრობ, რომ ეს დროის ამბავია და ატაცებული იქნება ყველა მთავრობის მიერ. მოკლევადიანმა განათლებამ შეიძლება გამოასწოროს და გააუმჯობესოს საზოგადოების განათლების დონე, მაგრამ შემდეგ ის დაკონკრეტებული ცოდნის სახით უნდა მიეწოდოს მსურველებს. უნდა გამოვკვეთოთ ასევე „ერასმუს"-ის ფარგლებში თანამშრომლობა და თანამშრომლობის განვითარება", — აღნიშნა სებასტიაო ფეიო დე აზევედომ და დასძინა, რომ მომავალში ასევე სადისკუსიო თემად დარჩება ევროპული უნივერსიტეტების გაერთიანება, რომელიც პოლიტიკური ნებაა და მისთვის ხელშეწყობის პროცესი გაგრძელდება. „2017 წლისთვის ჩვენ შევძელით ერასმუსის ფარგლებში შეგვექმნა 6 ახალი კოორდინაცია და 19 საპარტნიორო პროგრამა 200-ზე მეტ ინსტიტუციასთან. გლობალური ბიუჯეტი ჩვენი ძალისხმევისა იყო 3 მილიონ ევროზე მეტი და გვინდა 6 მილიონამდე ავიდეთ, რაც იმას ნიშნავს რომ ჩვენ სიამოვნებით გავაფართოვებთ ჩვენს საერთაშორისო ურთიერთობებს", — განაცხადა პორტოს უნივერსიტეტის რექტორმა.

სიმპოზიუმი შეაჯამეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, რომლებმაც საერთაშორისო ურთიერთობისა განვითარებისა და მოწვეულ სტუმრებთან პარტნიორების კიდევ უფრო გაღრმავების სურვილი გამოთქვეს.

■ უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებისა და უნივერსიტეტის მედლით დაჯილდოების ცერემონიალი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები და სამუშაო შეხვედრები მიეძღვნა. ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებისა და უნივერსიტეტის მედლით დაჯილდოების ცერემონიალი იყო, რომელიც 9 თებერვალს გაიმართა. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, ქართველი და უცხოელი პროფესორები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

„საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭათ ჩვენი პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლებს, საერთაშორისოდ აღიარებული უნივერსიტეტების რექტორებს, ცნობილ მეცნიერებს, რომლებიც ხელს უწყობენ ჩვენს უნივერსიტეტთან სხვადასხვა სახის ურთიერთობის განვითარებას.

ჩვენ აქ შევიკრიბეთ, რათა ჩვენი პარტნიორებისა და მხარდამჭერებისადმი პატივისცემა გამოვხატოთ იმ თანამშრომლობისთვის, რომელიც დაფუძნებულია ევროპულ ღირებულებებზე. კვლევა, განათლება და ინოვაცია მნიშვნელოვანია მდგრადი საზოგადოების განვითარებისთვის. მეცნიერება და მეცნიერები წარმოგვიდგენენ ცოდნას, რომელიც ქმნის საზოგადოებასა და სამყაროს, სადაც ვცხოვრობთ!

საპატიო დოქტორის წოდება არის უმაღლესი ჯილდო, პრივილეგია, რომელსაც უნივერსიტეტი ანიჭებს. დღეს ეს არ მარტო ჩვენი ფასეულობების, არამედ ტრადიციების დღესასწაულიცაა! ჩვენი უნივერსიტეტი უკვე 100 წელია საპატიო ხარისხს ანიჭებს ისეთი რანგის მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც გვერდში უდგანან ჩვენს უნივერსიტეტს დასახული მიზნების მისაღწევად", — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდება ევროპის და აშშ-ის 7 უნივერსიტეტის რექტორს და 3 უნივერსიტეტის პროფესორს მიენიჭა. მათ შორის: კიოლნის (გერმანია) უნივერსიტეტის რექტორს,

გვ. 10

როგორ აღნიშნა უნივერსიტეტმა 100 წლის იუბილე

მე-9 გვ-დან

პროფესორ აქსელ ფრეიმუტს, იენის (გერმანია) ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ვალტერ როზენტალს, ვილნიუსის (ლიტვა) უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ არტურას ზუკაუსკასს, პორტოს (პორტუგალია) უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ სებასტიაო ფეიო დე აზევედოს, კორუნას (ესპანეთი) უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ხულიო აბალდე ალონსოს, სან დიეგოს (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორს უილიამ ტონგს, ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის (რუსეთი, დუბნა) ვეკსლერისა და ბალდინის მაღალი ენერგიების ფიზიკის ლაბორატორიის დირექტორს ვლადიმერ კეკელიძეს, საერთაშორის მშვიდობისა და უსაფრთხოების სამართლის ინსტიტუტის დირექტორს, კიოლნის უნივერსიტეტის გერმანიისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელს, პროფესორ კლაუს კრესს, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორს გიუნტერ ფალტინის, ტარტუს (ესტონეთი) უნივერსიტეტის ყოფილ რექტორს ვოლი კალმის მანტია და გრაგნილი გადაეცა ამავე უნივერსიტეტის წარმომადგენელს ლეტზაარს. თსუ-ის წინაშე გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისთვის, თსუ-ის საპატიო დოქტორი, გერმანელი მეწარმე და ქველმოქმედი კლაუს ჰიპი დაჯილდოვდა უნივერსიტეტის მედლით.

* * *

9 თებერვალს უნივერსიტეტის დელეგაციას თბილისის მერმა კახი კალაძემ უმასპინძლა. საზეიმო მიღება საკრებულოს შენობაში გაიმართა.

უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს ფარგლებში მოწვეულ სტუმრებს, მოგვიანებით, საქართველოს ეროვნულ მუზეუმშიც უმასპინძლეს. უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის კი SPACEHALL -ში წვეულება გაიმართა და სტუდენტები მთელი ღამე უნივერსიტეტის 100 წლისთავს ზეიმობდნენ.

■ შთაგეჭდილებების წიგნი

8 თებერვალს საზეიმო მიღებაზე, თსუ-ის ლოგოს გახსნის შემდეგ, უცხოელმა და ქართველმა სტუმრებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს და საიუბილეო ალბომში ჩანაწერები დატოვეს.

„ძალიან მრავალფეროვანი და უნიკალური საჩუქრები მივიღეთ, რომლებიც იმ ქვეყნების კულტურას და ისტორიას ასახავენ, რომელთა წარმომადგენლებიც საიუბილეო დღესასწაულზე გვესწრებოდნენ“, — განაცხადა თსუ-ის ვიცე რექტორმა, პროფესორმა ალექსანდრე ცისკარიძემ.

უახლოეს მომავალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური გამოფენა მოეწყობა, სადაც 100 წლის იუბილეზე მიღებული უნიკალური საჩუქრები და, ასევე, თსუ-ის საიუბილეო ალბომი იქნება წარმოდგენილი. მანამდე კი მოწვეული სტუმრების მიერ საიუბილეო ალბომში ჩაწერილ მილოცვების ნაწილს გაგაცნობთ.

პარიზის პასტერის ინსტიტუტის პროფესორი დავით ფრანგიშვილი: „მოხარული ვარ, რომ მონაწილეობას ვიღებ ჩემი მშობლიური უნივერსიტეტის 100 წლის საიუბილეო დღესასწაულში. მადლობელი ვარ მოწვევისთვის! როდესაც ვიხსენებ, რამდენმა გამოჩენილმა ადამიანმა დაიწყო თავისი აღმასვლა თბილისის უნივერსიტეტში და როგორ მწვერვალებს მიაღწია, სიამაყით მევსება გული, რომ მეც ამ კედლებში მივიღე განათლება. უნივერსიტეტის დაარსებამ ნათლად გამოაჩინა ქართველი ერის დიდი სამეცნიერო პოტენციალი. ვუსურვებ ჩემს უნივერსიტეტს კვლავ მრავალი წელი დარჩეს მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო კერად“.



ტოკიოს მეტროპოლიტენის უნივერსიტეტის პროფესორი ჰიროტაკე მაედა: „სულით და გულით მთელ საქართველოს ვულოცავ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს“.

შვედეთის მალმოს უნივერსიტეტის პროფესორი კარინა ვამლინგი: „მალმოს უნივერსიტეტის სახელით მინდა, მივულოცო თბილისის უნივერსიტეტს 100 წლისთავის იუბილე და ვუსურვო კიდევ დიდი წარმატებები“.

შვედეთის მალმოს უნივერსიტეტის პროფესორი რევაზ ჭანტურია: „ვულოცავ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 100 წლის იუბილეს, ვუსურვებ წინსვლას ჩვენი ერის საკეთილდღეოდ“.

გდანსკის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ვიცე რექტორი პიოტრ დომინიაკი: „გილოცავთ პირველი ასი წლის საოცარ მიღწევებს, საუკეთესო მომავალ ასწლეულს გისურვებთ!!!“

ტალინის უნივერსიტეტის რექტორი ტიიტ ლანდი: „გილოცავთ უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს! გისურვებთ წარმატებებს მომავალში!“

ახალი ეკონომიკური სკოლის რექტორი შლომო ვებერი: „ახალი ეკონომიკური სკოლის სახელით, ჩვენ ძველ მეგობარს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ვუსურვებ წარმატებებს მომდევნო ასი წლის განმავლობაში!!!“

გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის დირექტორთა საბჭოს წევრი სებასტიან შმიდტი: „გულითადი მოლოცვა იულიხის უნივერსიტეტიდან, ჩვენ გვეამაყება, რომ თქვენი პარტნიორები ვართ, გისურვებთ მშვიდობიან და წარმატებულ მომავალს!!!“

აშშ-ის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი უილიამ ტონგი: „მოხარული ვარ, რომ ამ დიდებულ დღესასწაულში მონაწილეობის შესაძლებლობა მომეცა. ასევე, დიდი პატივია ჩემთვის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მომანიჭეს. უკვე 5 წელია ვსტუმრობ საქართველოში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები აფინანსებს. ძალიან მიყვარს საქართველო და ქართველი ხალხი, განსაკუთრებით კი ჩვენი, სან დიეგოს უნივერსიტეტის სტუდენტები. ისინი არიან ნიჭიერი, ბეჯითი და კრეატიულები. მოხარული ვარ, რომ ქართველ მეცნიერებს ვუტარებ ტრენინგებს ინოვაციურ ეკონომიკაში. მადლობა მინდა გადავუხადო პარტნიორ უნივერსიტეტებს. გილოცავთ 100 წლის იუბილეს!“

დიდი ბრიტანეთის აკადემია ევროპეას პრეზიდენტი ზირდ ქლოთინგი: „გულითადად გილოცავთ უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს! ეს არის საკვანძო მოვლენა. მნიშვნელოვანი მიღწევაა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიოს ტოპ უნივერსიტეტების სიაში შედის. აკადემია ევროპასთვის, ევროპის აკადემიისთვის, ევროპული თანამშრომლობის ასოციაციისთვის დიდი პატივია ამ ცერემონიაში მონაწილეობა. იმედი გვაქვს, ჩვენი თანამშრომლობა თსუ-სთან და საქართველოსთან მომავალშიც გაგრძელდება“.

მარი-კიური სკლადოვსკას სახელობის უნივერსიტეტი: „ჩვენთვის დიდი პატივია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეზე მოწვევა. აღფრთოვანებულები ვართ თქვენი უნივერსიტეტის მიღწევებით. წარმატებებს გისურვებთ!“

ლატვიის უნივერსიტეტის ვიცე რექტორი იანის იკსტენსი: „ჩვენთვის დიდი პატივია საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეზე სტუმრობა. გისურვებთ გაბრწყინებულ მომავალს და ძლიერ, ნაყოფიერ თანამშრომლობას ლატვიის უნივერსიტეტთან!“

გვ. 11

როგორ აღნიშნა უნივერსიტეტმა 100 წლის იუბილე

ევა კონდოროსი და ზირდ ქლოთინგი



მე-10 გვ-დან

* * *

უნივერსიტეტის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების მასშტაბურობასა და მათი მაღალი დონის ორგანიზებაზე უნივერსიტეტის სტუმრები აღტაცებით საუბრობდნენ.

ზირდ ქლოთინგი,
ევროპის აკადემიის პრეზიდენტი:

ჩემთვის დიდი პატივია აქ ყოფნა. ეს ჩემი მეორე ვიზიტია ამ უნივერსიტეტში და ნათლად ვხედავ, რომ თქვენს უნივერსიტეტს აქვს წინსვლის ხედვა და ეს ხედვა არის მომავლის სტრატეგია, რომელიც მჭიდრო კავშირშია ტრადიციებთან. ეს არის მთავარი მიღწევა ამ უნივერსიტეტისათვის, რომელიც მაღალ ადგილს იკავებს მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების ჩამონათვალში. ნათელია, რომ ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი ღიაა ევროპისა და, საერთოდ, მთელი მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობისათვის. ამ მიმართულებით მრავალი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს უნივერსიტეტს ექნება წინსვლა და ყოველმხრივ წარმატება მომდევნო წლების განმავლობაში. იმედი მაქვს, რომ ევროპულ აკადემიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის მჭიდრო კავშირს დავამყარებთ და მოუთმენლად ველოდები შემდეგ ნაბიჯებს ამ უნივერსიტეტის განვითარებისათვის.

თქვენი ეს საიუბილეო ღონისძიება თავისთავად არის დიდი წარმატება და მოხარული ვარ, რომ სწორედ ამ შემთხვევის გამო ვიმყოფები აქ. ყველა, ვინც 9 თებერვლის სამეცნიერო სიმპოზიუმზე მოხსენებით გამოვიდა, ერთხმად აღნიშნავს, რომ ქართველ მეცნიერებთან და ქართველ სტუდენტებთან თანამშრომლობა — ეს არის დიდი პატივი და სიამოვნება.

ევა კონდოროსი,
ევროპული კვლევითი საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი:

ეს იყო არაჩვეულებრივად ორგანიზებული ღონისძიება. მე არასდროს მინახავს ასეთი ლამაზი ზეიმი. უნივერსიტეტის სტუმრები იყვნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მეცნიერები, უნივერსიტეტების რექტორები, რომელთაც გაგვიზიარეს თავიანთი გამოცდილებები. თქვენი უნივერსიტეტი კი მსოფლიოში ცნობილი უნივერსიტეტია თავისი დიდებული წარსულით. მართალია, იყო სხვადასხვა პერიოდი თავისი სირთულეებით, მაგრამ მჯერა, რომ ამ უნივერსიტეტს ექნება ძალიან წარმატებული მომავალი. ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტს ჰყავს არაჩვეულებრივი ხელმძღვანელობა. მათ შეუძლიათ გააუმჯობესონ როგორც უნივერსიტეტის დაფინანსების სისტემა, ასევე ძალუძთ — გახადონ უნივერსიტეტი კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი და აამაღლონ განათლებისა და მეცნიერების ხარისხის დონე.

* * *

ზეიმი შედგა, თუმცა საიუბილეო წლის აღნიშვნას უნივერსიტეტი სხვადასხვა ღონისძიებებით კვლავაც გეგმავს.

საჩუქრები

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად 5 ლარის ნომინალის ვერცხლის საკოლექციო მონეტა გამოუშვა.

* * *

რევაზ ინანიშვილის მეუღლემ, როზა ინანიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს იუბილეზე საჩუქრად მწერლის პირადი წიგნები, ხელნაწერები და ფოტოები გადასცა.

* * *

მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, ოთარ ჯაფარიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს იუბილეზე საჩუქრად თავისი პირადი არქივი და ბიბლიოთეკა გადასცა.

გიორგი შარვაშიძე:

— მინდა დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსსა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ოთარ ჯაფარიძეს, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს იუბილეზე საჩუქრად თავისი პირადი არქივი და ბიბლიოთეკა გადასცა.

ოთარ ჯაფარიძის ღვაწლი და განხორციელებული კვლევითი საქმიანობა უმნიშვნელოვანესია როგორც უნივერსიტეტის, ასევე ქვეყნისთვის. ამის აღსანიშნავად, გვაქვს პატივი მას უნივერსიტეტის პირველი საიუბილეო მედალი გადავცეთ.



საიუბილეო ღონისძიებების მნიშვნელოვანი შედეგები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების მსვლელობისას რამდენიმე სამუშაო შეხვედრა გაიმართა. თსუ-ს, უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების შედეგად რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გახდა ცნობილი.

„თსუ იქნება ერთგვარი ჰაბი რამდენიმე ახალი პროექტისთვის. კერძოდ, თსუ-ში გაიხსნება ევროპის აკადემიის წარმომადგენლობა და იგი მთელ რეგიონს დაფარავს. აგრეთვე, თსუ-ის ბაზაზე იგეგმება აშშ-ის ქიმიკოსთა ასოციაციის დაფუძნება. ეს გახლავთ უმაღლესი დონის სააკრედიტაციო სააგენტო, რომელიც აშშ-ს სტანდარტების აკრედიტაციას მიანიჭებს იმ უნივერსიტეტებს, რომელთაც ქიმიის მიმართულება აქვთ“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ. მისი თქმით, „უნივერსიტეტის 100 წლის საიუბილეო ღონისძიებების პირველი ეტაპის აღნიშვნა შედეგიანად დასრულდა, თუმცა, საიუბილეო ღონისძიებები გრძელდება. დაგეგმილია არაერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ღონისძიება. იმედი მაქვს, რომ სექტემბერში, როცა თსუ-ში გაიმართება თბილისის სამეცნიერო ფესტივალი, კიდევ ბევრი სტუმარი ეწვევა საქართველოს. ამ ფესტივალზე უკვე ქართველები და უცხოელი სტუმრები ვისაუბრებთ ტექნოლოგიებზე, ინოვაციებზე და ამ მიმართულების განვითარებაში თსუ-ს წვლილზე“.

ვინ ქმნის დღეს უნივერსიტეტის იმიჯს

ნინო კაკულია

სახე(ლ)ები უნივერსიტეტის გაზეთში პერიოდულად წარმოგიდგენთ იმ მეცნიერებს, რომელთა საქმეებიც უნივერსიტეტს საქვეყნოდ და მის ფარგლებს გარეთაც წარმოაჩენს. ამჯერად ჩვენ მხოლოდ გარკვეულ ნაწილს ვეხებით.

■ მზექალა შანიძე: „თქვენი წილი ბოროტება მოსპეთ!“

მზექალა შანიძე

რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მზექალა შანიძის მრავალწლიანი სამეცნიერო მოღვაწეობის დროს? — ამ კითხვაზე თსუ-ის პროფესორი მზექალა შანიძე გვპასუხობს: — „ჩემთვის ყველაფერი ახალი მნიშვნელოვანია. 1956 წელს ხელნაწერთა განყოფილებაში აღმოვჩნდი, სადაც მუშაობა ძალიან საინტერესო იყო. განსაკუთრებით დავინტერესდი ხელნაწერებით, რომლებიც ყოველთვის „ახალია“ და უნიკალური. 3-ჯერ ვიყავი სინას მთაზე, სადაც ახლად აღმოჩენილი ქართული ხელნაწერების შესწავლა მიმდინარეობდა. განსაკუთრებით საინტერესო იყო, როდესაც ერთ პატარა გრამატიკულ ტრაქტატს მივაკვლიე. ეს ტრაქტატი შენიშვნის სახით არის დაწერილი, მაგრამ რეალურად დამოუკიდებელ სამეცნიერო ნაშრომს წარმოადგენს“, — აღნიშნავს პროფესორი მზექალა შანიძე. იგი დღემდე ქართული ენის ქომაგია და ყველა ახალგაზრდას ამ სიტყვებით მიმართავს: „ენობრივი ცენზურა აუცილებელია. კარგი ქართულით უნდა იწერებოდეს როგორც ქართული, ისე სხვა დარგის სახელმძღვანელოებიც. ახალგაზრდები თვალყურს უნდა ადევნებდეთ საკუთარ მეტყველებას. უარყავით ის ენობრივი შტამპები, რომელიც ყოველდღიურად გესმით ტელევიზიიდან... წადით სოფლებში, ჩაიწერეთ სიტყვები, იკითხეთ საუკეთესო მწერლების ნაწარმოებები და თქვენ თვითონ ისწავლეთ კარგი ქართული. დღევანდელი ქართული ენა (არ მეშინია ამ სიტყვის ხმარების) წაბილწულია არასწორი ფორმებით, უხეში და უცენზურო გამოთქმებით... თითოეულმა გააკეთეთ, რაც შეგიძლიათ და, როგორც დათა თუთაშხია იტყოდა, „თქვენი წილი ბოროტება მოსპეთ“.

■ კლასიკური ფილოლოგიის ფუძემდებელთა ღირსეული გამგრძელებელი

რისმაგ გორდეზიანი

კლასიკური ფილოლოგია — დარგი, რომელსაც თსუ-ის პროფესორი, აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი წარმოადგენს — პრაქტიკულად უნივერსიტეტის დაარსებისთანავე დაფუძნდა. ივანე ჯავახიშვილის მოწვევით, საქართველოში ჩამოვიდა მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი გრიგოლ წერეთელი, რომელმაც დაიწყო ელინოლოგიის განვითარება საქართველოში. შემდეგ ეს მისი ესტაფეტა მიიღო ასევე დიდმა მეცნიერმა სიმონ ყაუხჩიშვილმა და შექმნა ძალზე საინტერესო და ცნობილი სკოლა კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტიური ფილოლოგიის სახით. 90-იან წლებში დაისვა საკითხი ამ დარგის შემდგომი განვითარებისა და, საბერძნეთის მხარესთან შეთანხმებით, უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის, როინ მეტრეველის მხარდაჭერით უნივერსიტეტში დაფუძნდა პირველი სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი — კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტს დაარსებიდან 2017 წლამდე სწორედ რისმაგ გორდეზიანი ედგა სათავეში. „ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ დღეს ჩვენი ინსტიტუტი არის აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე უფრო დიდი ინსტიტუტი ელინოლოგიის დარგში“, — ამბობს ბატონი რისმაგი. კლასიკური ფილოლოგიის ფუძემდებელთა ღირსეული გამგრძელებელი რისმაგ გორდეზიანი უნივერსიტეტს 100 წლის იუბილეს ულოცავს და ამბობს: „მართალია, ჩვენ ბოლო პერიოდში დიდ ყურადღებას ვაქცევთ რეიტინგებს, მაგრამ ყველაზე დიდი რეიტინგი არის ის, რომ ყველა ქართველისათვის უნივერსიტეტი წარმოადგენს უმთავრეს სულიერ და კულტურულ კერას საქართველოში. ვინც აპირებს უმაღლესში ჩაბარებას, ყველას გული მოუწევს ჩვენი უნივერსიტეტისაკენ. მინდა, ამ საიუბილეო წელს ვისურვო ერთი — უნივერსიტეტში მოვიდეს თაობა, რომლითაც მომავალი ისევე იამაყებს, როგორც ჩვენ ვამაყობთ დღეს ჯავახიშვილის თაობით. ამის გარეშე უნივერსიტეტის განვითარება ვერ მოხდება. უნივერსიტეტი არ შეიძლება ჩადგეს ჩვეულებრივი რიგითი უმაღლესი სასწავლებლების კატეგორიაში. ის უნდა იყოს ყოველთვის ლიდერი, მაგრამ ლიდერი არა მარტო სახელით, არამედ თავისი შინაარსით და თავისი პოტენციური შესაძლებლობებით“.

■ პლაზმის ფიზიკის დარგის ფუძემდებელი

ნოდარ ცინცაძე

აკადემიკოსმა, თსუ-ის პროფესორმა ნოდარ ცინცაძემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში თანამედროვე ფიზიკის უმნიშვნელოვანეს დარგს — პლაზმის ფიზიკას და ფუნდამენტური წვლილი შეიტანა, მსოფლიო მასშტაბით, მის განვითარებაში.

გასული საუკუნის 70-იან წლებში, მაშინ, როცა ძლიერი ლაზერების უახლოეს მომავალში შექმნის პერსპექტივაც კი არ იყო, ცინცაძისა და მისი გუნდის მიერ ჩატარებულმა ინტენსიურმა სამუშაოებმა ქართველ მეცნიერებს მსოფლიო მასშტაბის უპირობო პირველობა დაუმკვიდრა. იმ დროს შემოთავაზებული თეორია შემდგომში კიდევ უფრო გაიშალა და დაიხვეწა. კერძოდ, ნოდარ ცინცაძის მიერ პირველად იყო შემოთავაზებული სრულიად ახალი იდეა რელატივისტური პლაზმის ფიზიკაში, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა ძლიერი ლაზერების გამოყენებას. ამ ნაშრომში ნაჩვენები იყო სრულიად ახალი ფიზიკა.

„დაახლოებით ათი წლის განმავლობაში ვიყავი ასპირანტებისა და დოქტორანტების კოლეჯის დირექტორი იტალიაში, აბდუსალამის ფიზიკის საერთაშორისო ცენტრში. ეს იყო 1983-1993 წლები. ამ სკოლის მეშვეობით ბევრ ქართველ ახალგაზრდა მეცნიერს გავუხსენი გზა. ესენი არიან საქვეყნოდ აღიარებული პროფესორები: გია დვალი, ვაჟა ბერეჟიანი და სხვები. სწორედ აქ მთხოვა ირანის განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა — ირანში პლაზმური ფიზიკა განმევითარებინა. მართლაც, ჩავედი ირანში და სამ წელიწადში შვიდმა ირანელმა ახალგაზრდამ დაიცვა დისერტაცია პლაზმურ ფიზიკაში. ასე დავნერგე ირანში ახალი მიმართულება. კოლუმბიის უნივერსიტეტშიც ვკითხულობდი სპეციალურ ლექციებს, ბელგიაშიც. თუ ჩემს ბიბლიოგრაფიას გადავხედავთ, 100-ზე მეტი შრომა მაქვს გამოქვეყნებული უცხოელ კოლეგებთან თანაავტორობით“, — ამბობს პროფესორი ნოდარ ცინცაძე. მას ეკუთვნის ახალი ამაჩქარებლის შექმნის იდეაც. მის მიერ შექმნილი ახალი კვანტური კინეტიკური განტოლება კი ინტენსიურად გამოიყენება ჩვენში და საზღვარგარეთ კვანტური პლაზმის ფიზიკური მოვლენების შესწავლისას.

■ რა მხრივ გაამართლა ლადო პაპავას მუდმივმოქმედმა სემინარმა?

ვლადიმერ პაპავა

უკვე 6 წელია თსუ-ის პროფესორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა მუდმივმოქმედი სემინარის ციკლს მართავს სახელწოდებით: „პოლიტ-ეკონომიური საუბრები ლადო პაპავასთან“. სემინარი, ტრადიციულად, თვეში ერთხელ იმართება. რა მიზანს ემსახურება და რა მხრივ გაამართლა სემინარის ციკლმა? „საერთოდ ყველა მეცნიერს, რომელსაც პრეტენზია აქვს, რომ იგი თავის დარგში წარმოადგენს გარკვეულ ავტორიტეტს, მას უნდა ჰქონდეს პირადი სემინარი. მეცნიერები წარმოადგენენ თავიანთ კვლევებს და იმართება დისკუსია. საინტერესოა ახალგაზრდა მეცნიერების ჩართულობა, განსაკუთრებით დოქტორანტებისა, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ მანამ გაიარონ თავიანთი კვლევის შედეგების განხილვა, სანამ დისერტაციას დაიცავენ. თემატიკა არის ძალიან ვრცელი — ეკონომიური თეორიის საკითხები, სოციალური საკითხები, ფინანსური საკითხები, მონეტარული პოლიტიკა და სხვა. ეს სემინარი ახალგაზრდებს უმუშავებს კოლეგების წინაშე საკუთარი სამეცნიერო მოხსენების წარდგენის კულტურას და ამდენადაა მნიშვნელოვანი ეს სკოლა“, — ამბობს ლადო პაპავა, რომელიც ეკონომიკის სფეროს არაერთი თაობის აღმზრდელია.

■ ქართველოლოგიის დარგში მსოფლიო სიმპოზიუმების ჩატარება უნივერსიტეტში მისი ინიციატივით დაიწყო

„მთელი ჩემი ცხოვრება და მოღვაწეობა სტუდენტობიდან დღემდე უნივერსიტეტს უკავშირდება“, — ამბობს პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე, რომლის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მრავალ ინოვაციურ პროექტს თუ სამეცნიერო კვლევას უკავშირდება: მისი მეცნიერული ინტერესების სფეროა რუსთველოლოგია, ქართულ-ბიზანტიური და ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობები. იგი ხელმძღვანელობს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტს და მის მიერვე დაარსებულ ქართველოლოგიური სკოლის ცენტრს; არის მრავალი ნაშრომისა და მონოგრაფიის ავტორი.

ელგუჯა ხინთიბიძე

„ჩემთვის უნივერსიტეტში მოღვაწეობის ყველა ეტაპი მნიშვნელოვანია, მაგრამ გამორჩეულად გავიხსენებ იმ დროს, როდესაც ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი ვიყავი, შემდეგ კი — პრორექტორი სამეცნიერო დარგში. ჩემი ინიციატივით სწორედ ამ პერიოდში დაიწყო უნივერსიტეტში რეგულარულად ქართველოლოგიის დარგში საერთაშორისო სიმპოზიუმების გამართვა, რაც დღესაც გრძელდება. ბედნიერი ვარ, რომ ცნობილი მეცნიერები მასწავლიდნენ — ჩემი ხელმძღვანელი იყო ბატონი კორნელი კეკელიძე და მისი „ნათლობით“ მივაღწიე ყველა წარმატებას სამეცნიერო სფეროში. მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის პერიოდი, როდესაც თავისუფალმა, დამოუკიდებელმა საქართველომ შეძლო მსოფლიო არენაზე გასვლა სამეცნიერო თანამშრომლობის მიმართულებით. ამის მონაპოვარია, საკუთრივ, ჩემს მოღვაწეობაში ბევრი სიახლე. უკანასკნელ ათწლეულებში გამოვლინდა XIII საუკუნეში დაწერილი უცნობი სირიული ჰიმნი თბილისის აღებაზე, ლათინურ ენაზე თარგმნილი „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების“ მნიშვნელოვანი მონაკვეთი და რაც უფრო მოულოდნელია, უნიკალური ფაქტი, რომ XVII საუკუნის ინგლისელი დრამატურგები და თვით შექსპირიც სიუჟეტურ წყაროდ იყენებენ „ვეფხისტყაოსანს“. ყველა ეს მიღწევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უკავშირდება და აქ მიმდინარე სამეცნიერო მუშაობის შედეგია. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ჩემთან ერთად ამ პრობლემაზე ჩვენი სტუდენტებიც მუშაობდნენ“, — ამბობს პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე და უნივერსიტეტს უსურვებს, ღირსეულად გააგრძელოს დამაარსებლების მიერ დაწყებული საქმიანობა.

■ რას მიიჩნევს ყველაზე დიდ თანამდებობად ნოდარ ხადური?

ნოდარ ხადური

„უკვე 12 წელია, ყველაზე დიდი თანამდებობა მიკავია — უნივერსიტეტის პროფესორი ვარ“, — ამბობს თსუ-ის პროფესორი და ეკონომისტი ნოდარ ხადური, რომელიც უნივერსიტეტის სტუდენტი 27 წლის წინ გახდა. 1991 წლიდან დღემდე მას უნივერსიტეტი არ მიუტოვებია, მიუხედავად იმისა, რომ მაღალ სახელისუფლო პოსტზეც იყო. „არ ყოფილა დღე, რომ მასთან კავშირი არ მქონოდა...

გვ. 13

სახე(ლ)ები

ვინ ქმნის დღეს უნივერსიტეტის იმიჯს

მე-12 გვ-დან

ვიყავი ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელი, მასწავლებელი, ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი... უნივერსიტეტში მაშინაც დავრჩი, როდესაც საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრად ვმუშაობდი და დღესაც ერთ-ერთი ძალიან საინტერესო კათედრის, მაკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელის რანგში ისევ უნივერსიტეტელი ვარ“, — აცხადებს ნოდარ ხადური, რომელიც მის სტუდენტებს განსაკუთრებულად იმიტომ უყვართ, რომ თეორიული საკითხების გარდა მათ პრაქტიკულ საქმიანობასაც და ადამიანობასაც ასწავლის. მისთვის — იყო უნივერსიტეტელი, დიდი პატივია, თუმცა პასუხისმგებლობა — გაცილებით მეტია.

■ თამარ გაგოშიძე: „100 წლოვანი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს „ბრენდის იარლიყი“

თამარ გაგოშიძე

მას შემდეგ, რაც თსუ-ის ყოფილი რექტორის ლადო პაპავას ძალისხმევით უნივერსიტეტში ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი შეიქმნა, მის ხელმძღვანელად პროფესორი თამარ გაგოშიძე აირჩიეს. ქალბატონი თამარი დღემდე უძღვება ამ ფაკულტეტს და არაერთი ინიციატივის დანერგვით მოახერხა სტუდენტებისთვის მიმზიდველი გაეხადა ის. „ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია სწავლების ხარისხისთვის ბრძოლა. 100 წლოვანი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს „ბრენდის იარლიყი“. ბუნებრივია, სწავლება კვლევის გარეშე შეუძლებელია და ძალიან სამწუხაროა, რომ დღეს უნივერსიტეტში ამის შესაძლებლობა ძალიან მწირია. კვლევას სჭირდება თანხები, რისი საშუალებაც ჩვენს უნივერსიტეტს არ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ფაკულტეტზე ბევრი პროექტია დაფინანსებული შოთა რუსთაველის ფონდის მიერ, ეს მაინც მინიმალური და არასაკმარისია“, — ამბობს თამარ გაგოშიძე. იგი კვლევის მიმართულებით უფრო დიდი ინვესტიციის მოლოდინშია და იმედს მომავალზე ამყარებს.

ინესა მერაბიშვილი

■ ვისი დამსახურებით შეიყვარა მსოფლიომ გალაკტიონი?

უნივერსიტეტსა და საზოგადოებას კარგად მოეხსენება ინესა მერაბიშვილის აკადემიური მუშაობა, განსაკუთრებით კი ის, თუ როგორ გააქვს ათეული წლების მანძილზე მიგნებები თუ მიღწევები საზღვრებს გარეთ, იქნება ეს ლინგვისტიკა, თარგმანის თეორია, ბაირონოლოგია თუ გალაკტიონის მისეული ინგლისური თარგმანი. „ოციოდე წლის წინ, როგორც თარგმანმცოდნეს, მტკიცედ მჯერა, რომ ქართული პოეზია მხოლოდ იმას უნდა ეთარგმნა უცხოურ ენაზე, ვისთვისაც ეს ენა მშობლიურია. მოხდა ისე, რომ გალაკტიონის პოეზიას ჩემს თარგმანში მაღალი შეფასება მისცეს დასავლეთის აკადემიურმა წრეებმა. ბუნებრივია, შორს ვარ თავის მოწონებისაგან მკითხველის წინაშე, მით უმეტეს, საიუბილეო ნომერში. ამაზე მხოლოდ იმიტომ ავლაპარაკდი, რომ წარმოვაჩინო ჩემი უნივერსიტეტის დამსახურება, რადგან მე არც მიცხოვრია და არც მისწავლია დასავლეთში. ის ცოდნა და გამოცდილება, რომელსაც ვფლობ და ვცდილობ — თაობებს გადავცე, მხოლოდ მშობლიურ უნივერსიტეტში მოვიპოვე. იმ წელს, როდესაც სტუდენტი გავხდი, უნივერსიტეტმა 50 წლის იუბილე იზეიმა. ამდენად, 50 წელია, რაც ჩემი ცხოვრებითა და საქმიანობით უწყვეტად ვარ დაკავშირებული მასთან. ამიტომაც, საკვირველი არაფერია იმაში, რომ საიუბილეო დღეებში ერთი უტყუარი განცდა გავაცნობიერე, საკუთრივ ის, რომ ასი წლის დედაუნივერსიტეტი შვილივით გიყვარს და გეძვირფასება“, — ამბობს პროფესორი, საერთაშორისო ელჩის ორდენის კავალერი ინესა მერაბიშვილი.

■ მოგზაურობა ხუთ კონტინენტზე და... უნივერსიტეტში

„თემამ მოიტანა და უნივერსიტეტის პირველი კორპუსიდან გამოსულები, ქალბატონ მარიკა ლორთქიფანიძეს ვეუბნები: „საქართველოს ერად და ქვეყნად ფორმირების ჩემეულ სამ ფენომენს გეტყვით: ფარსმან მეფემ ეს შეძლო ენით, მეფე მირიანმა — რელიგიით, ხოლო ივანე ჯავახიშვილმა — უნივერსიტეტით. ქალბატონს ღიმილი მოეფინა სახეზე, ღიმილის მსგავსი მიმიკა უფრო თანხმობას ნიშნავდა...“, — წერს თსუ-ის პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი თავის დღიურში, რომელშიც ვკითხულობთ: „უნივერსიტეტში დავნერგე ახალი დარგები — „ბიოგეოგრაფია“, „დედამიწის ბიომები“, „ეკოლოგია პალეოეკოლოგიის საფუძვლებით“... სათავეში ჩავუდექი ინტერდისციპლინურ საბაკალავრო პროგრამას — „ეკოლოგია“. ნაწილობრივ ჩემს თავზე ავიღე სტუდენტთა პრაქტიკაზე გაყვანა. უნივერსიტეტში სტუდენტი ჩემი საქმიანობის ეპიცენტრშია; მეცნიერება — შინაგანი მოთხოვნილებაა (იგი გვირგვინდება უცხოეთში 2018 წლის „ხელშეკრულებებით“ გათვალისწინებული ორი ინტერდისციპლინური მონოგრაფიით, ერთს გამოსცემს —

არნოლდ გეგეჭკორი

Nova Publishing, მეორეს — Springer). მრავალმხრივია საზოგადოებრივი მუშაობა (მათ შორის ორჯერ ვარ არჩეული სენატის წევრად).

... ალმა მატერმა ძალიან ბევრი მომცა, უწინარესად, პასუხისმგებლობა სტუდენტური აუდიტორიის წინაშე. იგი ცოდნის გაღრმავების მნიშვნელოვანი, დამატებითი იმპულსია. დაჯილდოვებული ვარ ივანე ჯავახიშვილის მედლით, მომანიჭეს თსუ-ის პირველი რექტორის — პ. მელიქიშვილის პრემია, ორგზის წარმადგინეს (ერთხელ ეროვნული მუზეუმიდან) და მომანიჭეს ღირსების ორდენი... მიწვეული ვიყავი დედამიწის 5 კონტინენტის 8 უნივერსიტეტში (მოწვეული პროფესორი, მკვლევარი). ტრანსკონტინენტურ ექსპედიციებში გავიმეორე დიდი ნაწილი მარშრუტებისა — შესრულებული უდიდესი ნატურალისტების — ჰუმბოლდტის, დარვინისა და უოლესის მიერ. აქ მოპოვებული მასალები, დაკვირვებები აისახა ჩემს სასკოლო თუ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებში, ნახევრად პროზაულ ნაწარმოებში — „ჩემი აფრიკული საფარი“, — ვკითხულობთ არნოლდ გეგეჭკორის დღიურში.

არნოლდ გეგეჭკორი მეცნიერების პოპულარიზაციას ჯერ კიდევ მაშინ ცდილობდა, როდესაც სატელევიზიო გადაცემა — „ბუნების კარი“ მიჰყავდა. გამოსცა არაერთი მონოგრაფია. მისი შრომა ბოლოს დაგვირგვინდა იმით, რომ გადასცეს სახელმწიფო პრემია და ი. გოგებაშვილის (პირველი ხარისხის) პრემია, ასევე დაჯილდოვდა „ბუნების ქომაგის“ ორი ოქროს მედლით.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლოვანი ისტორია

თამარ დადიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა თსუ-ის 100 წლის იუბილეს მიუძღვნა ნაშრომი — „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი (1918-2018)“.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 1918-2018 წლების მოკლე ისტორიული ნაშრომი ეძღვნება საქართველოს უპირველესი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს. (რეცენზენტები არიან პროფესორები: გედევან ხელაია და მიხეილ ჯიბუტი; სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარეა პროფესორი თეიმურაზ ბერიძე). აღსანიშნავია, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი არის პირველი, ვინც მოამზადა ნაშრომი თავისი ფაკულტეტის ისტორიასა და განვითარებაზე, რაც სხვა ფაკულტეტებისთვისაც სამაგალითო და მისაბაძია.

„სახალხო განათლების კომისარიატის 1921 წლის 25 ივლისის მითითებით გადაწყდა შექმნილიყო სოციალურ-ეკონომიკური — ფაკულტეტი ეკონომიკური და იურიდიული განყოფილებებით, რომლის პროექტი შეიმუშავეს პროფესორმა ფილიპე გოგიჩაიშვილმა

და დოცენტმა ლევან ანდრონიკაშვილმა. პროფესორთა საბჭომ 1922 წლის 30 ივლისს ეს პროექტი დაამტკიცა და ასე შეიქმნა სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი. დეკანი გახდა პროფესორი შალვა ნუცუბიძე. ამ ფაკულტეტის შექმნით დაიწყო ეკონომიკური მეცნიერების განვითარება და ეროვნული კადრებისა და საქართველოს სახალხო მეურნეობისათვის სხვადასხვა პროფილის სპეციალისტთა მომზადება.

2005 წელს თსუ-ის ეკონომიკური პროფილის მქონე 4 ფაკულტეტი გაერთიანდა და შეიქმნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, რომელიც ახორციელებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის მიმართულებით; უცხოენოვან საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს ეკონომიკაში; თსუ-ის და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივ სამაგისტრო პროგრამას ბიზნესის ადმინისტრირებაში ორმაგი ხარისხით“, — წერს წიგნის შესავალში თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე.

წიგნის პრეზენტაციაზე პროფესორმა მიხეილ ჯიბუტმა, რომელიც წიგნის რეცენზენტია, თავის კოლეგებს მოუწოდა — ფაკულტეტის დღევანდელი მნიშვნელოვანი მოვლენები აღწერონ და ამ მოვლენების სწორი განვითარების ხედვა წარმოადგინონ, რათა მომავალმა თაობებმა იცოდნენ ეკონომიკური მეცნიერების განვითარების მნიშვნელოვანი ნაბიჯები.

„ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ყოველთვის იყო დასაყრდენი ძალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის. ამიტომ, როდესაც ამ ნაშრომის იდეა წამოაყენა ბატონმა თეიმურაზ ბერიძემ, სიხარულით შევხვდით და გავიზიარეთ. ძალიან მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა, რომელიც მომავალ თაობებს ფაკულტეტის შექმნის ისტორიასა და განვითარებას გააცნობს“, — განაცხადა პროფესორმა ელგუჯა მექვაბიშვილმა.

დღესდღეობით, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 14 კათედრაა, სტუდენტთა რაოდენობა კი 5000-ს აჭარბებს. ფაკულტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი აქტიურად საქმიანობს სტუდენტთა სწავლების თანამედროვე მეთოდების დასანერგად, სამეცნიერო კვლევების დონის ასამაღლებლად და სწავლების პროცესში პრაქტიკული მიმართულების გასაძლიერებლად.

წინამდებარე ნაშრომში ორ ნაწილად არის წარმოდგენილი ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტების ისტორია 1922-1992 და 1992-2017 წლებში; გადმოცემულია ფაკულტეტზე ფუნქციონირებადი კათედრების დაარსების ისტორია და საქმიანობა; კათედრის ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალის შესახებ ინფორმაცია; სამეცნიერო მიმართულებით გაჩაღებული დიდი შემოქმედებითი მუშაობა და ფაკულტეტის მიერ დაფუძნებული სხვადასხვა სამეცნიერო, სასწავლო-კვლევითი ცენტრების საქმიანობა.

ნაშრომის ბოლოს ჩამოთვლილია ფაკულტეტის ყველა ის დეკანი და მოვალეობის შემსრულებელი, რომლებიც დაარსების დღიდან დღემდე ხელმძღვანელობენ ფაკულტეტს.

ელენე ხარაბაძე: მე თსუ-ის პროფესორი ვარ და ასეთად უნდა დავრჩე

თამარ დადიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის სახელი 50 წელი ღირსეულად ატარო და გახდე ათასობით სტუდენტის საყვარელი და სათაყვანო ლექტორი, იოლი არ არის... ასეთი პატივისცემა და სიყვარული მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. სტუდენტებს ვერ მოატყუებ და ვერც ვერაფერს გამოაპარებ, თუ ბოლომდე არ დაიხარჯები, ცოდნის მაქსიმუმს არ გასცემ და მათ ცნობისმოყვარე თვალებში პირად ტკივილსა და სიხარულს არ ამოიკითხავ — არც შენს ლექციაზე დასწრება მოუნდებათ და არც არასდროს გაგიხსენებენ, მადლიერებასა და პატივისცემაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ასეთ პროფესორად იცნობენ ქალბატონ ელენე ხარაბაძეს, ღვაწლმოსილ პედაგოგსა და სიკეთით სავსე პიროვნებას, რომელსაც ახლახან 75 წელი შეუსრულდა.

მისი შემართება და პრინციპულობა მისაბაძია და სანიმუშო. ნაკლებად შეხვდებით ასეთი მადლიერებით სავსე ადამიანს, რომელიც ყველასგან განსხვავებულია თავისი ორატორული ნიჭით და პირდაპირობით. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორთა შორის მას ყოველთვის გამოარჩევთ თავისი ქარიზმატულობითა და ორიგინალური ხედვით. იგი ძლიერი პიროვნული თვისებების მატარებელი პიროვნება და ლიდერია, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ნამდვილი კოლორიტი! ქალბატონი ელენე წლების განმავლობაში გვარწმუნებდა თავის არაორდინარულ პიროვნულ თვისებებში, მშობლიური მზრუნველობის გამოხატვის არაჩვეულებრივ უნარსა და სიკეთის უანგაროდ გაცემის ქმედებაში. ყოფილ სტუდენტებს ბევრი სიკეთე ახსოვთ მისგან — ვაჟკაცური, ადამიანური, სიკეთით სავსე შემართება, ადამიანური ღირებულებებითა და ფასეულობებით ცხოვრების სწავლა და დაბრკოლებების გადალახვა. გასახსენებელი მართლაც ბევრი აქვთ, მაგრამ ესეც საკმარისია ქალბატონ ელენე ხარაბაძის კეთილი გულისა და ადამიანური ღირსებების წარმოსაჩენად — მისი მოწაფეები მას სიყვარულითა და მოფერებით „დედუკას" ეძახიან (ეს მისი ტერმინია!).

რაც შეეხება პროფესორ ელენე ხარაბაძის სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას — 1972 წელს, ასპირანტურის სრული კურსის გავლის შემდეგ, ქალბატონმა ელენემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1967 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის კათედრაზე უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის, ასისტენტის, უფროსი მასწავლებლის, დოცენტის თანამდებობებზე. 1992-1997 წლებში იყო ამავე კათედრის გამგე. მისი ხელმძღვანელობით მოხერხდა 1993 წელს ეკონომიკის ფაკულტეტზე ბუღალტრული აღრიცხვისა და ანალიზის სპეციალობით სტუდენტთა მიღების აღდგენა, რომელიც, გორის ეკონომიკური ინსტიტუტის ჩამოყალიბების გამო, თსუ-ში წლების მანძილზე გაუქმებული იყო. 2006 წლიდან დღემდე ქალბატონი ელენე ხარაბაძე სამჯერ აირჩიეს სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. 2007-2009 წლებში იყო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ხოლო 2009-2012 წლებში დეკანის მოვალეობის შემსრულებელი.

ელენე ხარაბაძე წლების მანძილზე იყო საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა კავშირის პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიისა და სასერტიფიკატო კომისიის წევრი, საქართველოს კონტროლის პალატის მეცნიერ-კონსულტანტი, აუდიტორული ფირმა „ელკო-აუდიტის" დამფუძნებელი და დირექტორი. იგი არის უმაღლესი კვალიფიკაციის აუდიტორი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია პროფესორ ელენე ხარაბაძის მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ საგრანტო პროექტებში. იგი აქტიურ პედაგოგიურ და სატრენერო საქმიანობასთან ერთად, ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობასაც ეწევა. მას გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 2 მონოგრაფია, 3 სახელმძღვანელო და 11 სალექციო კურსი. ქალბატონი ელენე შემოქმედებითი ნიჭითაც არის დაჯილდოებული, უყვარს პოეზია და თავადაც წერს ლექსებს, ხატავს და ულამაზეს სამკაულებს აწყობს.

დღეს პროფესორი ელენე ხარაბაძე უნივერსიტეტში გატარებულ წლებსა და ურთიერთობებზე, სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაზე გვესაუბრება და საინტერესო მოსაზრებებსაც გვიზიარებს, რომელიც გამოცდილებითა და ღირსეული მოღვაწეობით არის ნასაზრდოები.

ინტერვიუ

— ქალბატონო ელენე, ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ... როგორი ბავშვობა გამოიარეთ და იყო თუ არა ის პროფესიული არჩევანის განმსაზღვრელი?

— სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში დავიბადე 1943 წელს, პედაგოგების ოჯახში. სკოლაც იქვე დავამთავრე და მომავალ პროფესიად მასწავლებლობა ავირჩიე — ოჯახური ტრადიცია ხომ უნდა გამეგრძელებინა! ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა — რომელ სპეციალობას ავირჩევდი, რადგან ყველა საგანს ერთნაირი სიძლიერით ვსწავლობდი. დედას უნდოდა ექიმი გავმხდარიყავი. მე კი ექიმობა არ მინდოდა და დედის არჩევანს ძალიან განვიცდიდი. ბოლოს მამამ გადამიწყვიტა ეს საკითხი — ადგა და ჩემი საბუთები შვიდი კლასის დამთავრების შემდეგ დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში გადაიტანა ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობაზე. სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში სამუშაო სტაჟის გარეშე მისაღები გამოცდების ჩაბარების უფლებას მაძლევდა, არც დავფიქრებულვარ, ისე ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ასე გავხდი თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი.

— მოდით იმ ურთიერთობასა და დამოკიდებულებაზე ვისაუბროთ, რაც თქვენი სტუდენტობის წლებში სტუდენტსა და ლექტორების შორის არსებობდა.

— ყველა ეპოქას თავისი დადებითი და უარყოფითი ნიშნები აქვს... ის სტუდენტობის წლები, რომელიც მე გამოვიარე, რატომღაც დღეს ყველას უნდა განქიქების საგნად აქციოს. ეს არასწორია... ულამაზესი სტუდენტური წლები გამოვიარე. მაშინ სულ სხვა დამოკიდებულება იყო უფროსსა და უმცროს შორის, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. ეს ურთიერთობები აბსოლუტურად ხალასი და წმინდა იყო, გული მწყდება რომ დღევანდელ ახალგაზრდებს ისეთი სითბო და სიყვარული ერთმანეთთან არ აკავშირებთ, როგორც ჩვენ, უფროს თაობას გვქონდა.

მთელი ჩემი სტუდენტობის მანძილზე არ მახსოვს, არდადეგებზე ისე წავსულიყავი, ყველა თანაკურსელს რომ არ ჰქონოდა გამოცდები ჩაბარებული. თუ ერთს გაუჭირდებოდა, ყველანი ვეხმარებოდით, ერთად ვმეცადინეობდით, ერთმანეთზე ვზრუნავდით. საგამოცდო სესიების პერიოდში დილიდანვე, ცარიელ აუდიტორიებში პატარ-პატარა ჯგუფებად ვიკრიბებოდით და ერთმანეთს ვასწავლიდით, ვამხნევებდით, ვეხმარებოდით. ასეთი დამოკიდებულება შემდგომში ძალიან თბილ და მეგობრულ ურთიერთობას აყალიბებდა. ჩვენ გვქონდა საოცრად ხალასი, ლაღი ურთიერთობები ყოველგვარი წყენის, დამცირების და შეურაცხყოფის გარეშე. არასდროს გამოგვირჩევია ერთმანეთი, ყველასთან თბილი და მეგობრული დამოკიდებულება გვქონდა. ახლა კომკავშირს ვაქილიკებთ, მაგრამ, ადამიანად ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ისიც ბევრ რამეს გვასწავლიდა ახალგაზრდებს — ორგანიზებულობას, გუნდურ მუშაობას, კონსოლიდაციას. მაგრამ არსებობდა „რკინის ფარდა" და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები. დღევანდელ სტუდენტებს ბევრად მეტი შესაძლებლობები გააჩნიათ, უამრავ ინფორმაციას ფლობენ, კარგად იციან უცხო ენები, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობენ, უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში შეუძლიათ სხვადასხვა ქვეყნის რამდენიმე უნივერსიტეტს გაეცნონ, ე.ი. ცოდნის შეძენის ყველა შესაძლებლობა აქვთ და კარგადაც იყენებენ ამას. მჯერა, ჩვენთან შედარებით ბევრად წარმატებულები იქნებიან და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

— როდის გადაწყვიტეთ საქმიანობა სამეცნიერო მიმართულებით გაგეგრძელებინათ?

— ეკონომიკის ფაკულტეტზე ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობაზე ვსწავლობდი. მესამე კურსიდან ეს სპეციალობა ორად გაიყო — ვაჭრობისა და მრეწველობის ბუღალტრულ აღრიცხვად. მე და ჩემმა მეგობრებმა ვაჭრობის ბუღალტრული აღრიცხვა ავირჩიეთ. პირველივე ლექციაზე პროფესორი ფარნაოზ მენთეშაშვილი შემობრძანდა და განვლილი მასალის გამოკითხვა დაიწყო. მახსოვს, თითქმის ყველა კითხვას ვპასუხობდი. ლექცია დამთავრდა და შესვენებაზე გარეთ გამოვედი. შემთხვევით მაშინდელი ბუღალტრული აღრიცხვის კათედრის გამგე ლევან მამისაშვილი შემხვდა, რომელიც დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმშიც მასწავლიდა. საშინლად დამტუქსა, როცა ვუთხარი — ვაჭრობის ბუღალტრის სპეციალობა ავირჩიე-მეთქი. ვინ მოგცა უფლება, ეგ არჩევანი გაგეკეთებინაო! როგორ შევბედავდი პასუხი მეკადრებინა მასწავლებლისთვის და მეორე 45 წუთი მრეწველობის ბუღალტერიის სპეციალობაზე გადავინაცვლე... როცა ბატონმა ფარნაოზმა ჩემი სხვა სპეციალობაზე გადასვლის ამბავი შეიტყო, იმ წუთიდან ლექციაზე აღარ შესულა და ადმინისტრაცია იძულებული გახდა, ვაჭრობის ბუღალტრული აღრიცხვის ჯგუფი მრეწველებისთვის შეეერთებინა. ბუღალტრულ აღრიცხვას მასწავლიდა ბატონი ლევან მამისაშვილი, ღრმად განსწავლული პიროვნება, უზომოდ შეყვარებული საქართველოსა და ყოველგვარ ქართულზე. იგი სპეციალობასთან ერთად, სამშობლოს სიყვარულსაც გვინერგავდა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საფაკულტეტო კომისიამ სამუშაოდ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში გამანაწილა. მაშინ ასე იყო მიღებული... ამას მოჰყვა ძალიან მძიმე და ტრაგიკული პერიოდი პირადი ცხოვრებისა, რომელმაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა. მაგრამ, ერთ დღეს, თსუ-ის V კორპუსთან შემთხვევით შევხვდი ბატონ ფარნაოზ მენთეშაშვილს, რომელმაც მკითხა, ჩემთან მუშაობა არ გინდაო? ვერაფერი ვუპასუხე... შემდეგ უკვე მიბრძანა — ხვალ, დილის 10 საათზე კათედრაზე გელოდები! ასეთი პატივსაცემი და ღვაწლმოსილი პროფესორის ნათქვამს უყურადღებოდ როგორ დავტოვებდი. ასე დავიწყე მუშაობა თსუ-ში მეცნიერ მუშაკად. ორ კვირაში ბატონმა ფარნაოზმა ისევ მიბრძანა — ასპირანტურაში მისაღები გამოცდები ჩააბარეო! პირველი ლექციის წასაკითხადაც ბატონმა ფარნაოზმა შემიშვა აუდიტორიაში, ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანთან, ბატონ გივი ჭანუყვაძესთან შეთანხმებით, რომელმაც მართლაც შვილივით გამზარდა. მალე ასისტენტის თანამდებობაზე გამაფორმეს. ასე აღმოვჩნდი ლექტორის ამპლუაში.

ბატონი ფარნაოზ მენთეშაშვილი ჩემი ცხოვრების გზის გამკვალავი და დიდი მასწავლებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მის ლექციაზე მხოლოდ 45 წუთი მქონდა გატარებული. ფარნაოზის კეთილი „ამოჩემება" მარტო მე არ ვყოფილვარ. თუკი ვინმე გონებაგახსნილ და ნიჭიერ სტუდენტს აღმოაჩენდა, ყველას ეხმარებოდა, ყველაზე ზრუნავდა. განსაკუთრებით უყვარდა ობოლი და გაჭირვებული სტუდენტები. არასდროს დამავიწყდება, ასევე, გამორჩეული პიროვნების, საოცრად ერუდირებული, მკაცრი, შეუვალი და სამართლიანი პროფესორის გივი ჭანუყვაძის თანადგომა, რომელსაც სწავლების უნიკალური მეთოდი ჰქონდა — გებაასებოდა როგორც თანატოლს და ასე შეპარულად გასწავლიდა საკითხებს, რომელიც აუცილებლად დაგვჭირდებოდა. ასეთები იყვნენ მაშინდელი ლექტორები და კორიფეები — სტუდენტებზე ზრუნვა,

გვ. 15

პერსონა

ელენე ხარაბაძე: მე თსუ-ის პროფესორი ვარ და ასეთად უნდა დავრჩე

მე-14 გვ-დან

ხელშეწყობა, თანადგომა და გზაზე დაყენება იყო მათი საქმიანობის მთავარი პრინციპი.

— საოცრად შთამბეჭდავი სამეცნიერო მოღვაწეობის ისტორია გაქვთ, თქვენი მეცნიერული ნაშრომებიდან რომელს გამოჰყოფდით?

— გამიჭირდება ასე გამორჩევა, მაგრამ, ალბათ, პირველ ნაშრომს დავასახელებ — „ბუღალტრული აღრიცხვის თეორიას“ და იცით რატომ? ასეთი სახელწოდებით სახელმძღვანელო ჩემი სტუდენტობის პერიოდში უკვე არსებობდა და მისი ავტორი ჩემი მასწავლებელი ლევან მამისაშვილი იყო, რომელიც 14 წლიდან მასწავლიდა. როგორ გავბედავდი მეკადრებინა ჩემი მასწავლებლისთვის, რომ წიგნი სახელად „ბუღალტრული აღრიცხვის თეორია“ ელენე ხარაბაძის ავტორობით გამოსულიყო. ეს უკვე რუბიკონი იყო! იმიტომ კი არა, რომ ვერ დავწერდი, არამედ იმიტომ, რომ ლევან მამისაშვილის შემდეგ უნდა გამეკეთებინა ეს და რაღაც განსაკუთრებული მოწიწება, სიფაქიზე და შიში მამოძრავებდა. ბატონი ლევანის წინადადებები და პოზაც კი მახსოვს, როგორ მიკითხავდა ლექციას, მასწავლიდა ამა თუ იმ საკითხს. ჩემი სახელმძღვანელო, რომელიც განკუთვნილი იყო ბაკალავრებისათვის, მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა. უფრო ფუნდამენტალურია „ფინანსური აღრიცხვა“. სამეცნიერო ნაშრომებიდან გამოვყოფდი, აგრეთვე, „საქართველოს ღვინის მრეწველობის საწარმოო ფონდების გამოყენების ეკონომიკური ანალიზი და მათი ეფექტურობის ამაღლების რეზერვები, სადაც „სამტრესტის“ 38 საწარმოს მაჩვენებლების შესწავლის საფუძველზე იყო დასკვნები გამოტანილი.

— აბიტურიენტები ხშირად პრესტიჟული კომერციული სასწავლებლების ეკონომიკურ ფაკულტეტს ირჩევენ, რადგან ჰგონიათ, რომ თსუ-ში ამ ფაკულტეტზე მოძველებული მეთოდებით ასწავლიან. ინფრასტრუქტურაც ნაკლებად მიმზიდველია...

— როდესაც ახალგაზრდებზე ვსაუბრობთ, მათ არჩევანს მრავალი ფაქტორი განაპირობებს. არ არის მართალი, რომ ჩვენს ფაკულტეტზე ან სწავლების დონეა დაბალი ან სხვა რამ. თქვენ ამაში დარწმუნდებით სულ მალე, აკრედიტაციის მიღების დროს. რატომ უნდა იყოს სწავლების დონე დაბალი, მაშინ, როცა უახლესი, საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი ლიტერატურით ვასწავლით? თსუ-ის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, კონკურენციას გაუძლებს და გაიმარჯვებს — გვაქვს უახლესი როგორც ქართული, ისე უცხოური სასწავლო ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, კეთილმოწყობილი სასწავლო ლაბორატორია უახლესი კომპიუტერული პროგრამით „ბალანსი“, რომელიც აუდიტორული კომპანია BDO-ის საჩუქარია ჩვენი სტუდენტებისთვის. რაც შეეხება კადრებს, ისინი უმკაცრესი კონკურსების გზით შეირჩა და მათ კვალიფიკაციაში ეჭვის შეტანა არასერიოზულია. თუმცა კონკურსების შესახებ ვიტყვი, რომ პროფესორი დღენიადაგ კონკურსზე კი არ უნდა ფიქრობდეს, არამედ იმაზე, თუ რა სიახლე მიაწოდოს სტუდენტს. მეცნიერებაში ახალი სიტყვაა ღირებული! ამიტომ რაოდენობის გამოდევნება არ მიმაჩნია გამართლებულად, მნიშვნელოვანია ხარისხი.

მომწონს აკადემიური პერსონალის აფელირების წესი. სხვა კონკურენტმა უნივერსიტეტმა არ უნდა იამაყოს იმით, რომ ელენე ხარაბაძე მისი პროფესორია. მე თსუ-ის პროფესორი ვარ და ასეთად უნდა დავრჩე.

თუ სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ვფიქრობთ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შესაბამისი ინფრასტრუქტურა უნდა მოწესრიგდეს, უპირველეს ყოვლისა, სასწავლო აუდიტორიები სათანადო ტექნიკით აღიჭურვოს, სტუდენტს უნდა უხაროდეს „მაღლივში“ მოსვლა.

— თქვენ როგორ ხედავთ მთავრობის როლს უნივერსიტეტის განვითარებისა და გაძლიერების საქმეში?

— მთავრობის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს. არცერთი პრესტიჟული, ამერიკული თუ ევროპული უნივერსიტეტი თავიდან ისეთ უნივერსიტეტად არ ჩამოყალიბებულა, როგორიც დღეს არის. ამაში დიდი წილი მთავრობებს მიუძღვის. ხელისუფლების მხრიდან დახმარება და თანადგომა უნდა იყოს მრავალმხრივი, ფინანსური, საკანონმდებლო და სხვა ნებისმიერი მიმართულებით. უნივერსიტეტის პროფესურა, მეცნიერები, სტუდენტი-ახალგაზრდობა დღენიადაგ უნდა გრძნობდეს მთავრობის ყურადღებას, ამაში რას ვგულისხმობ? შეიძლება პარლამენტი მუშაობდეს ეკონომიკურ კანონებზე, მთავრობა მნიშვნელოვან ეკონომიკურ პროექტებზე და უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესურა, სტუდენტი-ახალგაზრდობა არ იყოს ინფორმირებულნი და ჩაბმულნი ამ საქმიანობაში, არ ხდებოდეს შეხვედრები, დისკუსიები, აზრთა გაზიარება, ვფიქრობ, ეს ურიგო არ იქნებოდა. ერთია კიდევ, როდესაც სტუდენტი ხედავს თავისი პროფესორისა და სახელმწიფო მაღალი რანგის მოხელის ღია, საქმიან და მეგობრულ ურთიერთობას, ეს მისთვის დიდი სტიმულია. მიმაჩნია ასევე, რომ როგორმე უნდა მოხერხდეს უნივერსიტეტისა და ბიზნესის კავშირურთიერთობების გაღრმავება, სტუდენტების დამსაქმებლები თვითონ უნდა დაინტერესდნენ საკუთარი კადრების კვალიფიკაციის მაღალი დონით. მათი დიდი ნაწილი კი ზღუდავს სტუდენტს სამუშაო პირობებით და ხელს არ უწყობს ცოდნის მიღებაში. ევროპისკენ მივისწრაფვით, მაგრამ არ ვფიქრობთ იმაზე, თუ რატომ მიაღწიეს ამ სახელმწიფოებმა განვითარების მაღალ საფეხურებს — ისევ და ისევ სწავლის, ცოდნის, მეცნიერების განვითარებისა და გაძლიერების ხელშეწყობით.

გახსენება

ვერნერ კელერი – დიდი გერმანისტი და ქველმოქმედი

23 თებერვალს კელნში 88 წლის ასაკში გარდაიცვალა გოეთეს ცნობილი მკვლევარი, პროფესორი ვერნერ კელერი

ვერნერ კელერმა გოეთეს ეთიკის არსი — ადამიანებისთვის ქმედითი დახმარების გაწევა თავისი ცხოვრების კრედოდ აქცია, რაც მას და მის მეუღლეს, დოქტ. მეხტჰილდ კელერს შთააგონებდა დიდი ხნის მანძილზე გაეწიათ მეტად მნიშვნელოვანი ქველმოქმედება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და განსაკუთრებით საქართველოში.

კელნის უნივერსიტეტის გერმანისტიკის ინსტიტუტის ყოფილი რექტორი და ემერიტუს პროფესორი, 1991/1999 წლებში გოეთეს საზოგადოების მოქმედი და შემდგომ საპატიო პრეზიდენტი, გერმანიის ჯვრის საპატიო ორდენის კავალერი (2000), ასევე მრავალი ქვეყნის უნივერსიტეტის და მათ შორის თსუ-ის საპატიო პროფესორი ცნობილი იყო როგორც ფაუსტის დრამის პოეტიკისა და, ზოგადად, ვაიმარის კლასიკის უბადლო მკვლევარი, გოეთეს წლიური ალმანახის გამომცემელი და გრიფიუსის, კლაისტის, იბსენის, კაფკას, ჰოხმუთის, ბოთო შტრაუსისა და სხვათა ნაწარმოებებზე შექმნილი მეტად დახვეწილი ნაშრომების ავტორი.

გოეთეს საზოგადოების პრეზიდენტობის დროს ვერნერ კელერის ძალისხმევით ვაიმარში დაწესდა სტიპენდიები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების და განსაკუთრებით ქართველი გერმანისტებისთვის. მაგრამ ყველაზე დიდი შრომა მან მეუღლესთან ერთად გასწია ქველმოქმედებისთვის ჩვენ ქვეყანაში, უმძიმესი 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე. კელერები მეგობრებსა თუ ნაცნობებში შეგროვებულ მნიშვნელოვან თანხებს ახმარდნენ ძეგვის ბავშვთა სახლს. კასპის ინვალიდ ბავშვთა სახლი და სკოლა დღემდე ძირითადად კელერების შემოწირულობებით არსებობს, ისევე როგორც მოხუცთა თავშესაფარი ქუთაისში. კელერები მრავალი წლის მანძილზე, ბოლო დრომდე, კერძო პირებსაც ეხმარებოდნენ, მაგალითად, მძიმე პრობლემების მქონე ერთ-ერთი გერმანისტი ქალბატონის ოჯახს თბილისში.



ვერნერ კელერი და მისი მეუღლე, რომელიც მას ბოლო წუთამდე გვერდში ედგა, მეტად მოკრძალებულ ცხოვრებას ეწეოდნენ, რადგან საკუთარი სახსრების დიდ ნაწილს ქველმოქმედებას ახმარდნენ. ცხოვრების ამ პრინციპს ისინი საკუთარ კეთილდღეობაზე მაღლა აყენებდნენ.

ვერნერ კელერს მრავალ ქვეყანაში ჰყავდა მეგობრები: საფრანგეთსა და იაპონიაში, ესპანეთში, ბულგარეთსა თუ ინდოეთში, ვიეტნამსა და კორეაში, რუსეთსა თუ პოსტსაბჭოეთის სხვა ქვეყნებში და განსაკუთრებით საქართველოში, რადგან ქართველებში მას სწორედ მეგობრობის ნიჭი მიაჩნდა ყველაზე მიმზიდველ თვისებად, რითიც თვითონაც უხვად იყო დაჯილდოებული.

იგი მეგობრობდა ჰერმან ჰესეს მსოფლიოში ცნობილ მკვლევარსა და ლიტერატურათმცოდნე რეზო ყარალაშვილთან, რომლის უდროო სიკვდილს კელერების ოჯახი დიდხანს გულწრფელად განიცდიდა; გამოჩენილ გერმანისტთან, პროფ. ნოდარ კაკაბაძესთან, რომელსაც ვერნერ კელერი დიდად აფასებდა; ასევე, ცნობილ მთარგმნელებთან ნელი ამაშუკელსა და ნათელა ხუციშვილთან. მაგრამ განსაკუთრებული მეგობრობა მას პროფ. დავით ლაშქარაძესთან აკავშირებდა, რომელიც პირველი ქართველი პროფესორი იყო საბჭოეთიდან.

სიტყვა groß გერმანულ ენაში უფროსსაც და დიდსაც ნიშნავს. მე ვცდილობ ვილაპარაკო იმ თანამედროვეთა სახელითაც, რომელთაც წილად ხვდათ პატივი — ყოფილიყვნენ ვერნერ კელერის მეგობრები. სამწუხაროდ, ყველას სახელს აქ ვერ ჩამოვთვლი. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ყველანი ვფიქრობთ მასზე თბილი, კეთილი ფიქრებით.

ვერნერ კელერს დიდხანს ჰქონდა ძალა, მხნეობა და შინაგანი და გარეგნული სილამაზე, რომელიც ყოველი შეხვედრისას გვაოცებდა. ის თითქოს არ ბერდებოდა, მაშინაც კი, 80 წელს რომ გადააბიჯა. ალბათ იმიტომ, რომ ასეთ აქტიურ ცხოვრებას ეწეოდა, ამდენს შრომობდა, ცდილობდა მუდამ ახალგაზრდების გარემოცვაში ყოფილიყო და, რაც მთავარია, ამდენ ადამიანს ეხმარებოდა. ის არაჩვეულებრივი, განსაკუთრებულად დიდსულოვანი გერმანელი იყო, ამავე დროს, მსოფლიოს მოქალაქე (საუკეთესო გაგებით), ადამიანი, რომელიც ყოველ საღამოს მუხლმოდრეკილი ავედრებდა გამჩენს არა მხოლოდ თავის ხალხსა და თავის ქვეყანას, არამედ მთელს მსოფლიოს, კაცობრიობას, ყველა ადამიანს დედამიწის ზურგზე. მას ეს შეეძლო, რადგან ამგვარი სათნოების ძალა და უფლება ჰქონდა.

ლალი ქეცბა-ხუნდაძე

თსუ-ის მუზეუმი 100 წლის იუბილეს მთელი წელი იზეიმებს

შურთხია ბეროშვილი

სამუზეუმო საქმიანობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ უნივერსიტეტის დაფუძნებამდე, ნიკო ცხვედაძის თაოსნობით აშენებულ სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში, ბინა დაიდო წერა-კითხვის გამავრცელებელმა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ. 1919 წელს გიორგი ჩუბინაშვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობას და შესთავაზა უნივერსიტეტში ხელოვნების კაბინეტის ან მუზეუმის მოწყობის გეგმა. მეცნიერის მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ იმ დროისათვის უნივერსიტეტში თავი მოიყარა ისტორიულ-მხატვრული ღირებულების მქონე ნივთებმა. მოგვიანებით, ამ ნივთების დიდი ნაწილი სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა. უნივერსიტეტში შემორჩა უნიკალური ენტომოლოგიური და ზოოლოგიური კოლექციები და ერმაკოვის ფოტოარქივი.

თსუ-ის მუზეუმის ფონდები დღესაც მდიდრდება. აქტიურად მიმდინარეობს ახალი სამუზეუმო ექსპონატების მოძიება, რომლებიც ეროვნულ არქივთან, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან, ლიტერატურის მუზეუმთან, სხვა სახლ-მუზეუმებთან და თსუ-ის დამფუძნებელთა მემკვიდრეებთან თანამშრომლობის შედეგად შეივსო. გამოვლინდა არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი და ხელნაწერი. თითქმის სრულად დამუშავდა მუზეუმის ფონდებში დაცული უნივერსიტეტის დამფუძნებელთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ამსახველი მასალები, სხვადასხვა სახის კოლექციები, რაც თსუ-ის მუზეუმის ხელმძღვანელის და თანამშრომლების თავდაუზოგავი შრომის შედეგია.

საუკუნოვან იუბილეს თსუ-ის მუზეუმი განსაკუთრებული მზაობით შეხვდა.

გვესაუბრება თსუ-ის მუზეუმის ხელმძღვანელი მაია ბურაბანიძე*:*

„მიმდინარე წელს არაერთი საინტერესო ექსპოზიცია და გამოფენა იგეგმება. იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების ნუსხა საკმაოდ ვრცელი და შინაარსობრივად დატვირთულია. თსუ-ის მუზეუმი ამ მნიშვნელოვანი იუბილეს აღნიშვნას დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა. პირველად მოეწყო ექსპოზიცია, სადაც უნივერსიტეტის დამფუძნებელთა, ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში კურსდამთავრებულთა დიპლომები, ჩათვლის წიგნაკები და მოწვეულ უცხოელ პედაგოგთა წასაკითხი საგნების პროგრამები იყო წარმოდგენილი.

უნივერსიტეტის საუკუნოვან თარიღს მიეძღვნება მუდმივმოქმედი ექსპოზიცია, რომელიც პირველი კორპუსის ე.წ. გუმბათქვეშა სივრცეში განთავსდება, სადაც წარმოდგენილი იქნება უნივერსიტეტის დაარსებისა და განვითარების ამსახველი დოკუმენტები და ფოტომასალა. ამ გამოფენის მომზადებაში ჩვენი თითოეული თანამშრომელი აქტიურად იყო ჩაბმული, რომელთა მონდომების შედეგად მოხერხდა მრავალი უნიკალური და საინტერესო მასალის შეკრება და გამოვლენა. მზად ვართ იმ გამოწვევებისათვის, რასაც უნივერსიტეტის დაარსების ისტორიის ამსახველი ექსპოზიციის მომზადება ითვალისწინებს. ჩვენ გვქონდა გუმბათქვეშა სივრცის მოწყობის ჩვენეული გეგმა, მაგრამ რექტორთან გიორგი შარვაშიძესთან შეხვედრის შემდეგ, მასში ზოგიერთი რამ შეიცვალა, გაირკვა და დაზუსტდა — თუ როგორი შინაარსობრივი და ვიზუალური დატვირთვა ექნება ექსპოზიციას, რომელიც ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვება. სწორედ რექტორის რეკომენდაციით გადაწყდა, რომ ექსპოზიციის მომზადებისას ძირითადი აქცენტები მის ინტერაქტიულობაზე გაკეთდეს. საგულისხმოა, რომ საგამოფენო სივრცე თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევათა გათვალისწინებით მოეწყობა. დამთვალიერებელს საშუალება ექნება ვიზუალური, აუდიო და ვიდეო მასალებით „გაცოცხლებულ“ გარდასულ ისტორიას მიადევნოს თვალი და, ამავე დროს, თავად შეძლონ „დროში მოგზაურობა“, რათა შეიგრძნონ დროის უწყვეტი ჯაჭვის არსებობა. ჩვენი მიზანია, ექსპოზიციის ნახვის შემდეგ დამთვალიერებელმა გააცნობიეროს, თუ როგორი დიდი სიყვარულით, რუდუნებითა და თავდადებით იქმნებოდა კავკასიაში პირველი ქართული (ევროპული) უნივერსიტეტი. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ გუმბათქვეშა სივრცის ანტრესოლში მთლიანად წარმოდგენილი იქნება არქეოლოგიური ექსპოზიცია. უნივერსიტეტში დაარსებისთანავე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა არქეოლოგიურ კვლევებს და ამ მიმართულებით სამეცნიერო მუშაობას, რომლის სათავეში ექვთიმე თაყაიშვილი იდგა. 1967 წელს უნივერსიტეტში დაარსდა არქეოლოგიის კაბინეტი, რომლის ბაზაზეც, 2007 წელს, უნივერსიტეტის სამუზეუმო გაერთიანებაში შემავალი არქეოლოგიის მუზეუმი გაიხსნა. ამიტომ აქ გამოფენილი მასალა განსაკუთრებით დააინტერესებს მნახველს.

მუდმივმოქმედ გამოფენაზე ნაჩვენები იქნება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის, დღევანდელ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოპოვებული უნიკალური არქეოლოგიური მასალა, რომელიც, წლების წინ, თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების მიერ მეცნიერულად დამუშავდა. გამოფენაზე წარმოდგენილი არტეფაქტების უმეტესობა რესტავრირებულია ჩვენს ლაბორატორიაში. მოძიებული მასალა უნიკალური და მრავალფეროვანია: ქვის, კაჟის, ბრინჯაოს იარაღები; კერამიკული ჭურჭელი; ოქროს, ვერცხლის, ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვებით დამზადებული სამკაულები და სხვ. კოლექცია საშუალებას იძლევა სრულად და შთამბეჭდავად წარმოვადგინოთ ქართული კულტურის განვითარების ეტაპები და ის მიღწევები, რითაც საქართველომ მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა.

მუზეუმი ეხმიანება საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესაც, რომელიც, აგრეთვე, 2018 წელს აღინიშნება. ემიგრაციის მუზეუმთან ერთად უნივერსიტეტის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში რამდენიმე გამოფენა მოეწყობა, რომელიც თემატურად ასე განლაგდება: „საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) საერთაშორისო ურთიერთობები“, რომელშიც წარმოდგენილი იქნება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დიპლომატიური კორპუსის მუშაობის ამსახველი ფოტომასალა, წერილობითი თუ ბეჭდური სახით გამოქვეყნებული დოკუმენტები. ასევე საინტერესო იქნება გამოფენა სახელწოდებით: „ქართული ემიგრაცია და თბილისის უნივერსიტეტი“.

თსუ-ის მუზეუმი გეგმავს დიდი ქართველი მეცნიერების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენების მოწყობას. უკვე დაგეგმილია უნივერსიტეტის პირველი რექტორის პეტრე მელიქიშვილისადმი მიძღვნილი გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნება მისი მემორიალური ნივთები, ფოტო და დოკუმენტური მასალა; გაიმართება შალვა ნუცუბიძისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მასშტაბის გამოფენა უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამფუძნებელზე, შალვა ნუცუბიძეზე, ჯერ არ გამართულა. ვმუშაობთ აგრეთვე უნივერსიტეტის რეპრესირებული პროფესორ-მასწავლებლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენის მოწყობაზეც, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვადასხვა მუზეუმებში დაცულ მასალებზე დაყრდნობით მომზადდება.

გეოგრაფიის მუზეუმში მრავალი უნიკალური ფოტო ინახება, მათ შორის დიმიტრი ერმაკოვის უნიკალური ფოტომასალა, რომელიც უახლოეს მომავალში თსუ-ის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გამოიფინება. ამ ფოტოკოლექციის საფუძველზე გამოსაცემად მომზადდება ალბომი. ჩვენი მუზეუმი დამთვალიერებლებს კიდევ ბევრ საინტერესო ღონისძიებას ჰპირდება. მთელი წლის განმავლობაში მუზეუმის საგამოფენო დარბაზი სხვადასხვა დროის ხელოვანის, მეცნიერისა თუ საზოგადო მოღვაწის, ასევე, სტუდენტი-ახლაგაზრდობის შემოქმედებას დაეთმობა“.



მხატვარ ზაალ სულაკაურის საჩუქარი 100 წლის უნივერსიტეტს

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ

ნინო კაკულია

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ

მაია ტორაძე

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ

მანანა ჯურხაძე

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ:

ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ

ანა ბოლქვაძე

ᲙᲝᲛᲞ. ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ

ზაზა გულაშვილი

ᲠᲔᲓᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ:

რისმაგ გორდეზიანი,
იაგო კაჭკაჭიშვილი,
ეთერ ხარაიშვილი,
ლადო პაპავა,
მანანა შამილიშვილი,
თემურ ნადარეიშვილი,
ლადო მინაშვილი,
მორის შალიკაშვილი,
ნინო ჩიხლაძე,
გიორგი ჯაიანი,
არსენ გვენეტაძე,
მარიამ ცისკაძე,
ნინო ჭალაგანიძე,
ირმა რუხაძე

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:

ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)

2 22 36 62

ᲕᲔᲑᲒᲕᲔᲠᲓᲘ:

newspaper.tsu.edu.ge

ᲔᲚ.ᲤᲝᲡᲢᲐ:

tsunewspaper@tsu.ge

1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ „ᲣᲜᲘ-ᲕᲔᲠᲡᲘᲐ“ ᲒᲐᲓᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲔᲑᲨᲘ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ (ᲗᲡᲣ-ᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲝᲠᲐᲜᲓᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ).